6988
F 75
1906

# ბავშვი

№ II



## ყმაწვილი

ჟურნალი

მოზრდილთათვის

იანვარი

1906

თებერვალი „ნაკადული“ № II 1906 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი:


1. **ირემი.**—ლექსი აკაკისა . 3
2. **მთაზედ.**—განდეგილისა . 7
3. **ირემი და ხარი.**—სვ. ეიფეანისა . . . . . 12
4. **ჭიანჭველების მწუხარება.**—ზღაპარი თარგმანი ნ. თ. . . . . 19
5. **ანდერძი.**—ლექსი გ. გელოვანისა. . . . . 22
6. **უებარი წამალი.**—თარგმ. ივ. მაჩავარიანისა . . . 23
7. **ქანდაკება ეგვიპტელ ღმერთისა.** — თარგმანი ზღაპარი ნ. ბ—ძესი. . 34
8. **ჯუზეპპ გარიბალდი, იტალიის განმათავისუფლებელი.** ვ. დამბაშიძისა. 39
9. **თამარ მეფე.**—დ. კარიჭაშვილისა . . . . . 45
10. **ნარევი** . . . . . 56
11. **ანდაზები და გამოცანები** . . . . . 59


**ამ წლის პირველ იანვრიდან „ნაკადული“ გამოდის ახალის რედაქციით.**

## ხელის მოწერა შეიძლება:


რედაქციაში და „წერა-კითხ. გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში. ქალაქს გარედ ჩვენს აგენტებთან **ბაქოში**: ანეტა ყვანიასთან და ნ. დეკანოზიშვილთან; **ქუთაისში**: „კოლხიდის“ საზოგადოებაში, კნ. ბარბარე წერეთლისას და ანნა დადეშქელიანთან; **ბათუმში**: მარიამ ელიავასთან, კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და იასე რაჭველთან; **სუხუმში**· კნ. ტერეზია შერვაშიძესთან და ნიკო თავდგირიძესთან; **ახალციხეში**: სვიმონ ღვთისავრიშვილთან; **გორში**: თამარ და ნინო ლომაურებთან და კნ. ელენე ერისთავისას: **ფოთში**: იაკობ ფანცხავასთან და კნ. ვლადიმერ სვიმონის ძე აბაშიძესთან; **ჰიათურაში**: ... ... დეკანოზიშვილთან; **საჩხერეში**: ყარამან ჩხეიძესთან; **ერევანში**: მარიამ ფავლენიშვილთან.

„ნაკადულის“ შარშანდელი მთელის წლის ნომრები იყიდება **3** მანეთად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეოთხე

მოზრდილთათვის

№ II

თებერვალი

1906

ტფილისი

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მიხეილის ქუჩა, № 65

1906

თებერვალი „ნაკადული“ № II 1906 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი:


1. **ირემი.**—ლექსი აკაკისა . 3
2. **მთაზედ.**—განდეგილისა . 7
3. **ირემი და ხარი.**—სვ. ყიფიანისა . . . . . 12
4. **ჭიანჭველების მწუხარება.**—ზღაპარი თარგმანი ნ. თ. . . . . 19
5. **ანდერძი.**—ლექსი გ. გელოვანისა. . . . . 22
6. **უებარი წამალი.**—თარგმ. ივ. მაჭავარიანისა . . . 23
7. **ქანდაკება ეგვიპტელ ღმერთისა.** — თარგმანი ზღაპარი ნ. ბ—ძისა. . 34
8. **ჯუზეპო გარიბალდი, იტალიის განმათავისუფლებელი.** ვ. ლამბაშიძისა. 39
9. **თამარ მეფე.**—დ. კარიჭაშვილისა . . . . . 45
10. **ნარევი** . . . . . 56
11. **ანდაზები და გამოცანები** . . . . . 59


**ამ წლის პირველ იანვრიდან „ნაკადული“ გამოდის ახალის რედაქციით.**

## ხელის მოწერა შეიძლება:


რედაქციაში და „წერა-კითხ. გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში. ქალაქს გარეშ ჩვენს აგენტებთან **ბაქოში**: ანეტა ყვანიასთან და ნ. დეკანოზიშვილთან; **ძუთაისში**: „კოლხიდის“ საზოგადოებაში, კნ. ბარბარე წერეთლისას და ანნა დადეშქელიანთან; **ბათუმში**: მარიამ ელიავასთან, კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და იასე რაჭველთან; **სუხუმში**· კნ. ტერეზია შერვაშიძესთან და ნიკო თავდგირიძესთან; **ახალციხეში**: სვიმონ ღვთისავრიშვილთან; **გორში**: თამარ და ნინო ლომაურებთან და კნ. ელენე ერისთავისას: **ფოთში**: იაკობ ფანცხავასთან და კნ. ვლადიმერ სვიმონის ძე აბაშიძესთან; **ჭიათურაში**: ირაკლი დეკანოზიშვილთან; **საჩხერეში**: ყარამან ჩხეიძესთან; **ერევანში**: მარიამ ფავლენიშვილთან.

„ნაკადულის“ შარშანდელი მთელის წლის ნომრები იყიდება **3** მანეთად

# ირემი

ტრეხის გვარია, ლამაზი,
დაწმენდილ-დახვეწილია,
მტერზედ არ მიდის საბრძოლად,
მომსვლელზედ თვითონ ფრთხილია!

—

უწყინარია, ფეხ-მარდი
სხვა ნადირთ შედარებითა;
ყურ-მახვილს უჭრის თვალები,
თავს იმკობს ბორჯა რქებითა.

—

მოუდის „მყვირალობის“ თვე
მას შემოდგომის პირზედა;
ბარად ჩამოდის მთის შვილი,
ხშირად ლხინს იცვლის ჭირზედა:

—

მოსისხლე ადამიანი
გულში აიძრავს მტრობასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და შეუდგება კვალ-და-კვალ
სასისხლო ნადირობასა.

—

ერთხელ მეც წავყევ ბიძა ჩემს
ყმაწვილი სანადიროდა,
ჩამოვარდნილი ბარადა
როცა ირემი სტიროდა.

—

პირდაპირ მიველთ ლაშეზედ,
აქ ჩაესაფრა ბიძია.
მეც გვერდში ამოვუდექი...
წამხედულობამ მიწია...

—

სულგანაბული ველოდით
ნადირის გამოჩენასა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გული გვიცემდა არევით,
ვეეედრებოდით ზენასა!..

—

უეცრად ჯოგი გამოჩნდა,
წინ მოუძღოდა რქიანი;
ყელ-მოღერებით მოხტოდა
თამამად ის შავ-დღიანი.

—

იჭექა თოფმა, იხუვლა
რალაც საოცარ ძალითა,
რომ გადიყარა კვამლმა-კი,
ეს დავინახე თვალითა:

—

საბრალო ხარი-ირემი
მიწაზედ კოტრიალობდა,
სიკვდილ-სიცოცხლეს ებრძოდა,
უკანასკნელად წვალობდა!..

—

სხვები-კი დაფრთხნენ!.. ბიძია
მოვარდა გახარებული.
მეც თანვე მივყევ, სხვა გვარად
მიძგერდა მაშინ მეც გული!..

—

უკანასკნელად მოგვაპყრო
ჩვენ მომაკვდავმა თვალები,
თითქოს ამბობდა: „ხომ ჰხედავთ,
რომ ვკვდები განაწვალები;

—

მითხარით მაინც, ღვთის მადლსა,
რა მქონდა დანაშაული?“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმ სანახავმა შემცვალა,
გადამიბრუნდა მე გული.

—

და დავუდევი ჩემს თავსა
ხელ-შეუშლელი პირობა,
რომ არ ვიკისრო ჩემს დღეში
ცხოველზედ მონადირობა!..

აკაკი.

# მთაზედ

ქირბოდა, სულ ზევით და ზევით ადიოდა, აგერ მთის მწვერვალზედაც მოექცა და, მიუხედავად დაღლილობისა, აღტაცებით გადაჰხედა ძირს გადაშლილს სოფელს...

ჩამავალ მზის უსიცოცხლო სხივები სისხლის ფრად გადაჰკვროდა დასავლეთს, სამყაროს მწუხრი ეფინებოდა... ჭაბუკს მკერდი აუდ-ჩაუდიოდა, გული ძალზედ უცემდა, მუხლები მოჰკვეთოდა, მთელი სხეული დასვენებას სთხოვდა, მაგრამ თვალი ვერ შორდებოდა დიდებულს სურათს,—ჩამავალ მზეს...

— დაბრუნდი, დაბრუნდი იქითკენ, საიდგანაც მოდიხარ! აქ შენი აღგილი არ არის; ეს მთა ნადირთა თავშესაფარია და შენც იმათი ლუკმა გახდები, თუ უკანვე არ წახვალ... აიკიდე ეგ შენი პარკუჭანა და დაეშვი თავქვე, შენი სამკვიდრო იქ არის,—გადმოსძახა ამაყად წამომდგარმა ნაძვნარმა.

მთას მთა გაეხმაურა ამ საერთო გამოხმობამ, ცოტა არ იყოს, შეაკრთო ჭაბუკი; გულში შიში შეეპარა, ბარად დაბრუნება განიზრახა, მაგრამ მოაგონდა ამხანაგთა მიმართ მიცემული ფიცი, თვალწინ წარმოუდგა ცისკენ თვალებ აპყრობილი დედა, მიმავალს შვილს რომ გზას ულოცავდა, და შერცხვა, სიმწრის ოფლი გადაასკდა. მთელის სოფლის ბიჭებში ამან გაჰბედა ამ უდაბურ მთისკენ გამგზავრება. მარტო ამან იდვა თავს უკვდავების ყვავილის თესლის ატანა, რომ ამ გულჩახვეულ ბუმბერაზ შავის მთის თხემი კაცთა ცხოველმყოფელობის წყაროდ ექცია; მაგრამ თითქოს მთამ იუცხოვა, გული არ გაუღო უწვეევ სტუმარს, ვერ უმასპინძლა ლაღმა...

ყმაწვილმა ნაღვლიანად გადაჰხედა ბარს. აქა-იქ დაკოსებული ქოხები ბუზის ოდენა-ღა მოსჩანდნენ. ერთ წამს და-აშტერდა და თითქოს იცნო კიდეცა თავისი ქოხი, სადაც სისაწყლისა და ვაების მეტი არა ენახა-რა. დიად, ბევრის წვალების გამოვლილი იყო ეს ბიჭი, ბევრი სხვისი გაჭირვებაც ენახა და ამიტომ გადასდო თავი, ნადირთა ბასრ კბილებს არ დაერიდა, ოღონდ-კი თავისი საწადელი აესრულებინა...



„არა და არა“—გაიფიქრა ყმაწვილმა და პირი იბრუნა... თვალი მიმოავლო მთის მწვერვალს, რასაც ჯერ კაცთა ფეხი არ მიჰკარებოდა, და თავისი სიდიადე იგრძნო. იგი, გაამაყე-

ბული, იდგა ამ ბუმბერაზის ქედზედ და აფთართაგან გარშემორტყმული, უშიშრად აბნევდა უკვდავების თესლს, ნადირთა ღრიალ-ზმუილი უფრო და უფრო ხმირად ისმოდა...



მთა ძირიდგან თავამდე თრთოდა, ირყეოდა, ათასწლოვან ხეებს ლაწა-ლუწი გაუდიოდათ, მხოლოდ ცა, გულმკერდ მოფენილი კეკლუცი ცა, პირმომცინარედ გადმოჰყურებდა სიმწრის ოფლში გაწუწულს ყმაწვილს. ვარსკვლავნი ცელქად ხუჭავდნენ თვალებსა, თითქოს განთიადის მოახლოვებას ამით აცნობებდნენ ქვეყანასა, და თითოეულს მარცვალს უკვდავების ყვავილისას სათითაოდ აფრქვევდნენ თავიანთ ციმციმელვარებას...

ნიადაგი ჯაგნარი იყო, უყი, მშრომელის ხელ-მიუკარებელი... ნარეკალმა დაჰკაწრა ყმაწვილი, თქრიალით გადმოხეთქილი სისხლი უხვად დასდიოდა დედამიწას, მაგრამ ის არას ამჩნევდა—სთესდა და სთესდა უკვდავების თესლს...

აღმოსავლეთმა მომხიბლავად გაუღიმა კამარას და სივრცეში გაისმა გულის წარმტაცი ჰანგები ქალწულთა... განთიადის დარაჯნი დიდებას სწირავდნენ შემომქმედს...იგი, დაქანცული, მუხის ძირას მიეგდო და მიიძინა...

ღრმა და ხანგრძლივი იყო ეს ძილი...მთა ჩვეულებრივის მედიდურობით დაჰყურებდა ძირს დაფენილ სოფელს და წინანდელზედ უფრო არარაობად ეჩვენებოდა იგი... ბებერმა მუხამ მრისხანედ დაჰხედა თავის ძირში მიგდებულ ყმაწვილს, გულზვიადმა იუკადრისა თავხედ მუშაკის სიახლოვე და ქეჩო შეირხია... გაისმა ხეთა საერთო შრიალი... დაქანცულ მუშაკს ღრმად ეძინა, ვერა ჰგრძნობდა, როგორ უახლოვდებოდა აფთართა გროვა, რომ იმის ლეშზედ ედღესასწაულნა...

... უკვდავების თესლმა ფესვი გაიდგა, აგერ აღმოცენდა კიდეც, ჯაგნართა შორის თვალის წარმტაცად გადაიბარდნა, შავად მობურულ ქედიდან ბრწყინვალე ვარსკვლავივით გადმოაშუქა სულთმობრძავ სოფელს და თავისკენ მიიზიდა იგი... აღფრთოვანებული ხალხი შეუდრეკლად მიიწევდა იმისკენ, მაღლა, სულ უფრო და უფრო მაღლა, საიდგანაც გამარჯვების პირველმა სხივმა გამოანათა...

ხალხის საერთო ჟრიამულმა გამოაღვიძა ღონე-მიხდილი ყმაწვილი... იგი საჩქაროდ წამოხტა და გაკვირვებით შეა-

ჩერდა ერთის მხრით გამარჯვებით აღფრთოვანებულს ხალხს, მეორეს მხრით კი დამფრთხალსა და შერცხვენილს, თოფქვე დაშვებულ ნადირთა გროვას...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ჭირგადახდილმა გმირმა ხელი გაიშვირა ტურფა წალკოტისაკენ, სადაც უკვდავების ყვავილი გადაშლილიყო...

**განდეგილი.**



# ირემი და ხარი.



ითის მწვერვალის ერთს პატარა მინდორზედ, რომელზედაც სიცივისა გამო ბალახის მეტი სხვა ვერა მცენარე ვერ ხარობს, დიდი, კოხტა-რქიანი ხარი ზანტად აბიჯებდა და გზა და გზა მწვანე, ნორჩსა და სველს ბალახს ხარბადა სძოვდა.

გრძელის ძარღვიან კუდით მოუსვენარს ბუზებს იგერებდა, ხვნეშოდა და ბალახს გემრიელად ახრამუნებდა. რაც დრო გადიოდა, ჩავარდნილს ფერდებს ნელ-ნელა ივსებდა და მასთან ერთად ჭამასაც უკლებდა, ახლა ბალახს უფრო ზარმაცად უსვამდა პირს, ადგილიდან ადგილზედ უფრო ხშირად გადადიოდა და ბალახს მეტის გარჩევით ეძებდა. ბოლოს თავი მაღლა აიღო, მძიმედ ამოიხვნეშა და არე-მარეს თვალი მოავლო.

მზე გადახრილიყო, სადღაც შორს, მეორე მწვერვალს იქით, ჩასვლას ეპირებოდა და გამოთხოვების დროს დედამიწას საამურს სხივებს ცერადა სცემდა. მინდორს ოქროს ფერი დაედო. მთის გრილმა ნიავმა ზღვის ტალღასავით ბალახს გადაურბინა, ააბიბინა. კიდევ რამდენიმე წუთი და მზის ნაცვლად დედამიწაზედ ბინდი უნდა გამეფებულიყო.

ხარმა იგრძნო ეს, ხარბის თვალით მწვანე ბალახს ერთ-

ხელ კიდევ გადაჰხედა და გულ-ჩამკვდარმა სახლისკენ წამოსვ-
ლა დააპირა, მაგრამ ტყის ნაპირად გამოსულს ირემს თვალი
მოჰკრა და გაოცებული ერთს ალაგას გაქვავდა.

ირემს მაღალი, ტოტებიანი რქები ზურგზედ გადაეწყო,
ძარღვიანი მკერდი წინ გადმოეგდო, წვრილი ფეხები განზე
კოხტად გაედგა და ამ›ყის თვალით ხარს გამოსცქეროდა.

დიდ-ხანს იდგნენ ამგვარად ხარი და ირემი და შორიდგან ერთმანეთს ათვალიერებდნენ, ბოლოს ირემი ადგილიდგან დაიძრა, დინჯად წამოვიდა და ხარს დაუახლოვდა.

— გამარჯვება შენი,—ამაყად მიესალმა ხარს.

— გაგიმარჯოს!—დამკრთალი ხმით მიუგო ხარმა.

— რა გინდა აქ?

— შენ... შენ რაღა გინდა?

ირემმა ჩაიცინა.

— ეს ჩემი სამფლობელოა!..

შემდეგ კარგად დააცქერდა და ვრძნობით ჰკითხა:

— რადა ხარ აგრე გამხდარი? ნუ-თუ საკმაო საქმელი არა გაქვს? კისერზედ ბალანი აღარ შეგრჩენია, კანი გაგხმობია და დაგწყლულებია, შენი ძვლები შეიძლება სათითაოდ დაითვალოს, ზურგზედ ზოლ-ზოლად ხარ ატყავებული, ჭუჭყიანი ხარ, მოუვლელი. ვინ ხარ? სად სცხოვრობ? რა ცხოველს ეკუთვნი?

— მე ვარ ხარი,—მიუგო მან,—ვსცხოვრობ ბარად, ვეკუთვნი ადამიანს. ადამიანი მამუშავებს და მივლის, მკვებავს...

— ვხედავ, კარგადა ვხედავ, რომ გამუშავებს,—გააწყვეტინა სიტყვა ირემმა,—ამას შენი ქედის დაწყლულებული კანი ამტკიცებს, მაგრამ მოვლა და კვება როგორღაც არ გეტყობა! ზურგზედ და ბეჭებზედ აძძვრალი ტყავი რაღა არის?

— ეს ადამიანის სახრის ნიშნებია,—მიუგო ხარმა და თავი დაჭღუნა.

— გცემს ხოლმე? რადა?

— როდესაც ურემში შემაბავს და სადმე რასმეს წამაღებინებს...

— ურჩობ, არ გინდა წაიღო ხოლმე?

— არა, საპალნეს დიდს მამკიდებს ხოლმე და რომ ვერ მოვერევი...

— გცემს ხოლმე?!

— მცემს ხოლმე!

ირემი დიდ-ხანს გაოცებული შეჰყურებდა.

— საკვებად რას გაძლევს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზაფხულში ტყის ფოთოლს, ზამთარში ბზესა და ჩალას.

— როგორ, თქვენში ბალახი არაა?

— ბალახს ვინ მაღირსებს! ბალახს ჩემი პატრონი სთიბავს და ჰყიდის,—ამოიოხრა ხარმა და შურის თვალით გადაჰხედა მწვანე ბალახს.

— საბრალოვ!—წაიჩურჩულა ირემმა და ჩაფიქრდა.

ხარმა კარგა ხანს უყურა ირემს, მის ჩასუქებულს ტანს, რომელზედაც სქელი, მოკლე ბალანი ოქროს ფრად უბზინავდა, თვალი მოავლო მისს მკერდს, აბურძგნილს კისერს, ამაყად მოღერებულს ლამაზს თავსა და მორცხვადა ჰკითხა:

— შენა, შენ არა გყავს პატრონი?

— ღმერთმა დამიფაროს!—შესძახა ირემმა და შეკრთა, გაქცევა დააპირა, თითქოს შეეშინდა, მართლა არავინ დამეპატრონოსო.—მე ვარ თავისუფალი,—სთქვა მან ბოლოს,—ვით ფიქრი დაჰქრის სივრცეში და ელვასავით ურბენს მთელს სამყაროს, ისე დავრბივარ ამ მაღალს მთებში და ჩემთვის არ არსებობს არავითარი დაბრკოლება, არავითარი დაშლა. დავხტივარ მთის მწვერვალებსა, ხეებსა და ფერდობებზედ დაუღალავად, უდარდელად და დავეძებ გემრიელს ბალახსა და ცივს წყაროებს. სადაც დავიღლები, იქვე ვისვენებ, სადაც ღამე მისწრებს, იქვე ვიძინებ. ცხელა—თავს ხეებს ვაფარებ, ცივა—თბილს ნაძვნარს ვეძებ. შორიდგან მინახავს ხოლმე შენი ადამიანი,—განაგრძობდა ირემი,—ხანდახან აქმთაში შევხვდები ხოლმე მას, ამ გაუმაძღარს არსებას და დაუძინებელ მტერს, როგორც თავის მოძმისას, ისე დედამიწის ყოველ სულდგმულისას. გულ-ამოვარდნილი, ენა-წაგდებული მოიპარება ხოლმე ხეებში თოფით და მხეცური თვალებით დამეძებს, მე-კი ამ დროს, ხეებში მიმალული, რომელისამე მწვერვალიდან დავჰყურებ მას და გულში დავცინი: ის რომ ხვნეშითა და ოფლის წურვით ჩემამდე მოაღწევს, მე ხომ იმ დროს მეორე მწვერვალის თავში ვიქნები და იმ გვარადვე დავუწყებ იქიდგან ცქერასა. რა საცოდავი არსებაა!

— საცოდავი არსებაო?! — შეჰყვირა ხარმა და შიშით მიიხედ-მოიხედა. — რას ამბობ, რასა? გეტყობა, ახლოს ვერ იცნობ იმას! ის არის ბატონი ბუნებისა, მთელი სამყაროსი, ყველანი იმის ხელში ვართ. მას შეუძლიან გვცემოს, გვაწამოს, მოგვკლას, ძალა მის ხელშია, ხოლო ჩვენ უძლურნი მისი მონები ვართ!

ირემმა დიდ-ხანს უყურა ხარს გესლიანის ღიმილითა და შემდეგ უთხრა:

— მერე, ვინ გახადა ბატონადა? იცი თუ არა, შე საცოდავო, რომ ბატონი იქ ჩნდება, სადაც მონები არიან? არ იქმნებიან მონები, არ იქმნებიან ბატონებიც. მითხარი, შენ უფრო ღონიერი ხარ, თუ შენი ბატონი?

— რასაკვირველია, მე, — გაეცინა ხარს, — მე მიმაქვს ხოლმე ურემი, რომელზედაც უშველებელი ძნა უძევს და პატრონიც ზედა ზის ხოლმე.

— შენ რომ ერთს დღეს გაჯიუტდე და უღელში თავი არ გაჰყო, რას იზამს შენი ბატონი?

— ვერაფერს.

— მაშ, ის-კი არა ყოფილა ძლიერი, შენა ყოფილხარ უძლური?

— ის ჭკვიანია!

— იმიტომ, რომ შენ ხარ სულელი.

ორივენი გაჩუმდნენ და ხმა-ამოუღებლივ თვალით ერთმანეთს ჰზომავდნენ. ირემი შეჰყურებდა ხარს სიბრალულის თვალით, ხოლო ხარი ირემს — შურით.

— რა ბედნიერი ხარ? — შეჰყვირა ბოლოს ხარმა.

— რა გიშლის, შენც ბედნიერი გახდე! — მიუგო ირემმა. — ნუ დაბრუნდები სახლში, დარჩი ჩემთანა, გავხდეთ მეგობრები, სიხარული და სიმწარე ძმურად გავიყოთ. ბალახი ბევრი გვექნება, წყალი რამდენიც გულს უნდა, ვინავარდოთ ამ მთებში ქართან ერთად და მტერს ერთად ვებრძოლოთ. არ გვეყოლება ბატონი, ცემით არავინ არა გვცემს, ვიმუშაოთ ჩვენთვის და არა სხვისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე შიმშილით მოვკვდები! — შიშით წარმოსთქვა ხარმა.

— მე ხომ არ ვკვდები?

— შენ მთაში გაჩვეული ხარ, იცი ყველა ადგილები, სად არის კარგი ბალახი, წყალი...

— მე შენთან ვიქნები, გასწავლი ყველაფერს.

— სიცივე?—შესძახა ხარმა,—ზამთარში მე ბოსელშიაცა მცივა ხოლმე, არამც თუ ტყეში!

— ნუ გეშინიან,—გაიცინა ირემმა,—შენი ძვლები ხორცს შეიმატებენ, ტყავს სქელი ბალანი მოეფინება, კისერი დაგისქელდება, იარები მოგირჩება, ნაძვიც ბევრია მთებში, არ შეგცივა.

— პატრონი მომძებნის, მომკლავს!—ყოყმანობდა ხარი.

— ჩვენც გავიქცეთ სადმე, დავიმალოთ!

— ჰო, შენ რა გიშავს, ფეხები მაგარი გაქვს, გაქცევა იცი.

— ყური დამიგდე, — შესძახა გულ-მოსულმა ირემმა, — მიყურე მე და შენს თავზედაც დაიხედე, მე და შენ ერთი და იგივე არსება არა ვართ? ჩვენ ძმები ვართ, ერთის დედის ნაშობნი, ხოლო შენ პატარაობიდგანვე უღელში გაგიკრეს თავი და მძიმე ტვირთი გაზიდვინეს; შენც დამძიმდი, ფეხები დაგისქელდა და სირბილსაც გადაეჩვიე, მაშინ როდესაც მე დაბადებიდგანვე დავრბივარ ამ მთებში და მტერს ვემალები, მიტომაც მაქვს წვრილი და მაგარი ფეხები. დარჩი ჩემთანა, დამიჯერე, სირბილს ისევ ისწავლი, შენი შვილები ხომ სრულიად მე დამემზგავსებიან. იქ-კი შენს შვილებს იგივე ბედი მოელით, რაც შენ გარგუნა ღმერთმა.

ხარმა თავი დაჰლუნა, ჩაფიქრდა. ირემი შეჰყურებდა, პასუხს მოუთმენლად ელოდა.

ბოლოს ხარმა მძიმედ ამოისუნთქა, თავი გააქნია და წაიბუტბუტა:

— მშვიდობით, ამხანაგო!

— დაიცა, სად მიხვალ?!

— სახლში, მალე დალამდება, ჩემს პატრონს ხვალ მიწა აქვს მოსახნავი, თუ დილამდის სახლში არ დავბრუნდი, მომკლავს.

— მოიცა, მინდა ორი სიტყვა კიდევ გითხრა.

— არა, არა, დაგვიანდა! ვინ იცის, ახლა თავ-გადაგლეჯილი მეძებს!.. თუ აქა მნახა, ოოოჰ, შენ არ იცნობ კიდევ იმასა!..

ამ სიტყვებით ხარი გატრიალდა და მძიმე ნაბიჯით თავდალმართზედ დაეშვა.

ირემი იდგა ერთს ალაგას და მიმავალ ხარისთვის თვალი ვერ მოეშორებინა; შემდეგ თავი დაიქნია და მწარედ წარმოსთქვა:

— საბრალოვ! მთელის საუკუნოების მონობამ ისე ღრმად გაიდგა ფესვები შენს დაბეჩავებულს გულში, რომ, თავისუფლების სიმშვენიერეს თუმცა კარგად ჰგრძნობ, მის მოსაპოვებლად ხელის განძრევაც-კი არ გინდა. სისხლის მსმელმა შენმა ბატონმა ისე ღრმად შთაგინერგა გულში შიში, რომ მისის ერთის ბრძანებით მზად ხარ მიწაზედ დაწვე და დანას ყელი მიუშვირო! შენი გონება ისეა დაბეჩავებული, რომ გეშინიან, პატრონს რომ გავშორდე, ვაი თუ სიმშილით მოვკვდეო!

ირემმა თავი ამაყად მაღლა აიღო და მთებს თვალი მოავლო. ეს თავისუფალ სულდგმულთა სამფლობელო არასოდეს არ სჩვენებია მას ისე ძვირფასად, ისე მშვენივრად, როგორც იმ ჟამად. ირემი კარგა ხანს სტკბებოდა ამ სანახაობით, უცბად შეკრთა, შეითამაშა, რქები ზურგზედ გადაიწყო და მსწრაფლ ტყეში მიიმალა.

სვ. ყიფიანი.



# ჭიანჭველების მწუხარება.

(ზღაპარი-თარგმანი)



ხოვრობდნენ ჭიანჭველები. იმდენნი იყვნენ, იმდენნი, რომ ვინ დასთვლიდა? — მთელი სახელმწიფო! სცხოვრობდნენ ჩუმად და წყნარად დიდ ბორცვზედ, რომელიც თვითონ ააშენეს. დიდი ხანია მას აქეთ. ყოველ დღე მუშაობდნენ ჭიანჭველები, იმდენს მუშაობდნენ, რამდენიც მხოლოდ ჭიანჭველებს შეუძლიანთ. ყოველისფერი კარგად მიმდინარეობდა.

მაგრამ უბედურობა ეწვიათ უცბად, — ისეთი უბედურობა, რომ თავისს დღეში ვერ წარმოიდგენდნენ.

ჭიანჭველების ბორცვმა ამაყობა დაიწყო, მოსვენებას აღარავის აძლევდა:

„მე მაღალი ვარ, დიდი და ძლიერი, თქვენ-კი რა ხართ? — მატლები, რაღაც ჭია-ღუები!“

სამუშაოდგან რომ ბრუნდებიან ჭიანჭველები, ბორცვი ზიზღით მიაძახებს:

— ფუ, რა ცუდი სუნი გიდით!.. ლამის დამახრჩონ ამ წუპაკებმა! გაასუფთავეთ და გაამზეეთ აქაურობა! ... ...

მეორე დღეს უარესად აბეზრებს თავს:

— „რამდენი საძაგლობა მოგაქვთ აქ, ჩემთან! რაში გინდათ რაღაც ქალალდის ნაფხრეწები! რად გინდათ რაღაც ნაგავი და ჩხირები!.. გაიტანეთ, გადაყარეთ!..

მესამე დღეს — კიდევ დავიდარაბა, კიდევ არ ასვენებს საწყლებს:

— თქვენ ყურადღებას აღარ მაქცევთ!.. პატივს აღარა მცემთ?.. თითქოს თქვენი თანასწორი ვიყო! მაშ, დამაცადეთ! მე გასწავლით ჭკუას!.. გახსოვდეთ, ვინცა ვარ!

უკვირდათ ჭიანჭველებს, მაგრამ ფიქრობდნენ, დამშვიდდება, გონს მოვა ჩვენი ბორცვი და მყუდროებას აღარ შეგვირყევსო. მაგრამ ბორცვი არ წყნარდებოდა, პირ-იქით უფრო თავხედად ექცეოდა.

გაუჭირდათ ჭიანჭველებს: ნუ-თუ მიანებონ თავიანთი სახლ-კარი! სტირიან საცოდავები, არ იკიან, როგორ უშველონ თავსა.

უფროსებს რჩევა ჰკითხეს, მოილაპარაკეს წყნარად, ერთმანეთს თავიანთი გაჭირვება უამბეს და გარდასწყვიტეს — ბორცვს დინჯად, წყნარად მოველაპარაკოთო.

მიუახლოვდნენ და მოწიწებით თავი დაუკრეს.

— რა გინდათ? რად მოგროვილხართ? რად ყრიხართ უსაქმურად? — დაიღრიალა ბორცვმა.

— მოწყალეო ჩვენო ხელმწიფეო, მოგვისმინე! შენნი უერთგულესნი მონანი.

— ტყუილ-უბრალო ლაყბობას სამუშაოდ წასვლა გირჩევნიათ! რა გინდათ, რა?!

— ნუ გვავიწროვებ აგრე, ჩვენო ხელმწიფეო, ვიხრჩობით! ნუ გვიშლი ცხოვრებას! რა გენაღვლება ჩვენც ისე ვიცხოვროთ, როგორც სცხოვრობენ ჩვენი მეზობლები, ჩვენი მოძმეები!.. ან რად მოგაქვს აგრე თავი: ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით — არც შენ იქნებოდი! გაიგე, დიდებულო ბორ-

ცვო, რომ შენა ხარ ჩვენ მიერ შექმნილი და არა ჩვენ შენგანა. ისე როგორ გალაღდი, რომ ჩვენვე აღარ გვაყენებ ამ ქვეყნად!.. დამშვიდდი და წყნარად იცხოვრე ჩვენთანა.

მეხივით დაიგრიალა ბორცვმა:

— ოჰ, თქვე უბედურებო! როგორ მიბედავთ მე, ბორცვს, მაგ შეურაცხყოფას? იქით! იქით!

უფრო დაღონდნენ ჭიანჭველები. ბორცვი-კი უფრო და უფრო ავიწროვებს მათ. მეტი მოთმენა აღარ შეიძლებოდა. ზოგმა იფიქრა, მოვშორდებიო აქაურობასა, მაგრამ ვერ შესძლო სამშობლოს მოშორება. ბოლოს მოთმინება დაჰკარგეს და ამოირჩიეს ერთი დიდი მინდორი, სადაც ყველანი უნდა მოგროვილიყვნენ სათათბიროდ.

მოგროვდნენ. გაუზიარეს ერთმანეთს თავიანთი გაჭირვება, ყველა შეურაცხყოფა, შევიწროვება. ითათბირეს, ილაპარაკეს და გარდასწყვიტეს, ამ ბორცვთან ცხოვრება აღარ შეიძლებაო... ამ ბორცვს გადაშენება და ხელ-ახლა მოწყობა სჭირიაო და მიესივნენ ბორცვს .. ჭიანჭველებმა ერთბაშად მწყობრად მოჰკიდეს საქმეს ხელი. ბევრი იღრიალა ბორცვმა, ძალიან ემუქრებოდა ჭიანჭველებს, მაგრამ მისგან შევიწროვებულ მშრომელების ახალს საქმეს ვერაფრით ხელი ვერ შეუშალა. ძირიან-ფესვიანად დაანგრიეს ჭიანჭველებმა ბორცვი; რაც უვარგისი იყო, გადაჰყარეს, კარგ მასალიდან-კი მეორე ბორცვი ააშენეს ახალს გეგმაზედ თავიანთ სურვილისამებრ.

და კვლავ მშვიდობიანად და წყნარად დაიწყეს ჭიანჭველებმა ცხოვრება.

ნ. თ.

# ანდერძი

ომიგონევი, გთხოვ, მხოლოდ მაშინ,
როცა საფლავში ღრმად მეძინება
და საბნის ნაცვლად გვამსა უსულოს
ზევიდგან შავი მიწა მეყრება;
როცა ჩემს სხეულს ჭია-ღუანი
შეუბრალებლივ ღრღნას დაუწყებენ
და მიწისაგან შექმნილს ღვთის სახად
ისევე მიწად და მტვრად მაქცევენ;
როდესაც ხალხი წითელ დროშის ქვეშ
ერთ-ურთს შეჰფიცვენ ძმობა-ერთობას
და როცა ერი აზვირთებული
შესძახებს: ვაშა, ჩვენს გაღვიძებას!
როდესაც მსხვერპლებს თავისუფლების
მიაᲗვენებდნენ სამარისაკენ,
ოდეს სიმართლეს ფეხი აედგას,
ფლიდნი მიჰყვანდეთ სახრჩობელასკენ...
მაშინ საფლავში ჩამომძახევი:—
ვდღესასწაულობთ დღეს გამარჯვების!
უძლურს ძლიერი ველარა სჩაგრავს,
კვლავინდებურად აღარვინ სტირის!

**გ. გელოვანი.**

# უებარი წამალი *)

(თარგმანი)

ეხის წვერებზედ იდგა მოხუცებული ვეზირი და ფრთხილად, სულგანაბული მიიპარებოდა ბატონის საწოლისკენ. მივიდა, გადასწია ძვირფასი ფარჩის ფარდა და მოწიწებით თავი დაუკრა.

— წუხელის კარგად გეძინათ, ხელმწიფეო?

— შენს მტერს! თვალი არ მომიხუჭავს.

— აჰა, ღმერთო! სამი კვირაა, რაც აგრე იტანჯებით...

— სამი კვირაა, ძილი არ ვიცი. მოვკვდი, აღარა ვარ კაცი!

— ღმერთმა დაგიფაროთ! სიკვდილს თქვენთან რა ხელი აქვს?! საკვირველია სწორედ, საოცარია, ბუნების წინააღმდეგია!

---

*) J. Peltier: le bon reméde.

— მიზეზი მაინც ვიცოდე, რომ...

— სახელმწიფო საქმეებზედ ფიქრი და ზრუნვა, ბატონო...

— რას მიჰქარავ! სხვას ვის შეუკლავს სახელმწიფო საქმეებისთვის თავი, რომ მე შემეკლა? ნაზირ-ვეზირნი რაღად მინდანან? ერთად-ერთი ჩემი საზრუნავი ქეიფი და განცხრომაა და, წარმოიდგინე ჩემი უბედურება, ყველაფერი ჩამაშხამა ამ უძილობამ. ჭკვიანი კაცი ხარ და აქამდე როგორ ვერა მოიფიქრე-რა?

— როგორ არა, ბატონო: დავიბაროთ საექიმო აკადემიის წევრნი და იმათ ვკითხოთ. მაშ რის მეცნიერნი არიან, თუ-კი...

— მართლა რომ ჭკვიანი კაცი ყოფილხარ... არა, განა,

მე-კი ვერ მოვისაზრებდი, მაგრამ არა შეჯდა მწყერი ხესაო... აფრინე კაცი და აქ მომგვარე ჩემი აკადემიკოსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აფრინეს კაცი და მოიყვანეს აკადემიკოსები.

წინ უხუცესი მობრძანდებოდა და თან მოჰყავდა ოც-დაცამეტი შავით მოსილი სწავლული. უხუცესს ნიშნად თავის ღირსებისა ორი სათვალე გაეკეთებინა, დანარჩენთ-კი ცხვირს თითო სათვალე უმშვენებდა.

შევიდნენ აკადემიკოსნი ბატონის საწოლს ოთახში, თავმდაბალი სალამი მისცეს და მეცნიერულს სჯას 'მეუდგნენ. თავმჯდომარედ უხუცესი ჰყავდათ. 'მუადღემდე განაგრძეს კონსულტაცია. მერმე უხუცესი მიუახლოვდა ბატონს, სათვალეები გაისწორა, სამჯერ თავი დაუკრა, მუჭაში ჩაახველა და მოახსენა:

— ნეტარ ხსენებულის პაპი-თქვენის მიერ დაარსებულმა აკადემიამ შეისწავლა, დიდებულო ბატონო, თქვენი სნეულება, ბუნება და მიზეზნი მისნი და ცხად-ჰყო, ვითარცა სხვენი მზისანი, რომელ თქვენის უძილობის მიზეზი, ხელმწიფეო, უპირველეს ყოვლისა... ძილის გაკრთობა გახლავთ· სნეულება უკვე განკურნებულ არს, მოწყალეო, ოდეს ცნობილ არს მიზეზი მისი, რადგან განდევნა სნეულების მიზეზისა მომასწავებელ არს განკურნებისა. ამისა გამო, აკადემიამ ერთხმივ დაადგინა გირჩოთ შემდეგი უებარი წამალი: Papáver Somniterum..

— არ შეიძლება, ქრისტიანულად გველაპარაკოთ?

— ინებეთ, ხელმწიფეო. ყაყაჩოს მოახარშვინებთ და სასმელად მხოლოდ იმას მიირთმევთ. რაც შეეხება საჭმელს, დღეს, ხელმწიფეო, დათვის ბეჭი გექნებათ ცივად და მოხრაკული ჭოტი...

— რაო? ჭოტიო?

— დიაღ, მოწყალეო, მძინარა ხორცი აქვთ დათვსა და ჭოტსა და უძილობის წამლად არიან მიღებულნი მეცნიერებაში.

ეს მოახსენა, თავი დაუკრა, თავის-და უნებურად ჯიბეზედ ხელი გაიკრა და გავიდა· აკადემიკოსები თან გაჰყვნენ.

აფრინეს კაცი ზოოლოგიურ და ბოტანიკურ ბაღის დირექტორებთან, —სასახლის მზარეულს საჩქაროდ მიართვით საუკეთესო ყაყაჩო, დათვი და ჭოტი. ხელმწიფეს ურჩია წამლად აკადემიამაო.

დაბრძანდა უძილობისგან მისუსტებული ბატონი და ისე მიაძღა დათვის ბეჭს ცივად და მოხრაკულს ჭოტს, რომ ძლივსღა ქშინავდა. დარწმუნებული იყო, რომ ტკბილად ჩაიძინებდა იმ ღამესა და ადრე დაწვა.

ის იყო გააქრო სანთელი და ატყდა კიდეც რევოლიუცია! ერთმანეთს შეეჯახნენ დათვი და ჭოტი და აირ-დაირია იქაურობა! იმისთანა გრიალი ისმოდა, იმისთანა ჭექა-ქუხილი, თითქოს ყუმბარებს ესვრიან ერთმანეთსაო. სწორედ განადგურებას უპირებდნენ დიდს ბატონს. დასწყევლათ ღმერთმა! სანამ ცოცხალნი იყვნენ, ეძინათ, რაღა მაშინ გამოიღვიძეს, ბატონის შესაწუხებლად?

მისდგა ბატონი და სულ კოკებით ისხა სასმელები,—არც ეხლა ჩაქრება ამბოხებაო?

ბოლოს დილით, როდესაც მზე საკმარისად ზევით წამოვიდა, როგორც იყო, დაიმორჩილა ხელმწიფემ თავისი სამფლობელო და დაამშვიდა. ის იყო თვალი დახუჭა და ერთგული ვეზირიც წაადგა თავსა.

— მომილოცავს განკურნება, ხელმწიფეო.

— რის განკურნება? დამცინი, თუ რა არის?

— ნუ თუ არ გძინებიათ?

— არა და არა!

წამოიწია ბატონმა, დაწვრილებით უამბო წუხანდელი თავისი ტანჯვა-წვალება და მწარე კვნესით გაათავა:

— უძილობას სიკვდილი მირჩევნია! თუ არა მეშველა-რა...

— ჭირსა შინა გამაგრებაო, ბატონო... მაშ, კაცი არა ვყოფილვარ, თქვენი ერთგული მონა არა ვყოფილვარ...

— მერე? რაო? რაო?

— რაო, ბატონო, და თავი ჰქონდეს კაცს და თავში ტვინი, თორემ რა გაუჭირდება? ისე დაგაძინოთ, რომ... ეს ულვაში მომჭერით, აი, ცალი ულვაში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაჰქრა კაცი; იმ დღეს აღარავის უნახავს. ვახშამს ათავებდა ხელმწიფე, როდესაც კვლავ თავი დაუკრა.

— ოჰო, მობრძანდი?

— გიახელით, ბატონო.

— ვინ მიახელით?

— მოითმინე, ხელმწიფეო. თუ შეიძლება, ამ ბალიშზედ მიესვენე, კარგად გაიმართე, დასაძინებლად.

— კარგი და პატიოსანი, მერე?

— მერე მოთმინება, ბატონო.

კარებში რაღაც ანიშნა ვეზირმა და შევიდნენ მემუსიკენი, საუკეთესო სახელგანთქმულნი მემუსიკენი. დასხდნენ, მომართეს თავიანთი საკრავები.

— აბა, მზადა ხართ?—უბრძანა ვეზირმა.—ერთი! ორი! და სამი! დაიწყეთ, ბატონებო!

და დაიწყეს. დიდი რამ არაფერი დაუკრავთ, ან რთული სამუსიკო თხზულება. სულ უბრალო, ძველებური იავ-ნანა დაუკრეს, მაგრამ ისე მწყობრად, ნაზად, ტკბილად, თითქოს დედა უმღერს თავისს პირმშოს იავ-ნანასაო. უცნაური კონცერტი იყო, ციურ სიმშვიდის მომგვრელი და მიმაძინებელი.

ყველაზედ უწინ თითონ ვეზირმა იგემა თავისი გამონაგონის ნაყოფი. სავარძელზედ მიესვენა, თავი ჩაჰქინდრა, ტუჩი დაუშვა და ხელები მუცელზედ დაიკრიბა. მერმე მემუსიკეთ მოერიათ ძილი და ჯერ ერთმა მილულა თვალი, მერე მეორემ; ცოტა ხანს უკან ყველამ ხვრინვა ამოუშვა.

მარტო ხელმწიფეს არ ეძინა, თუმცა თვალდახუჭული ბრძანდებოდა ტახტზედ მისვენებული. რად გაჩუმდნენ მემუსიკენიო, თვალი გაახილა, გადაიხედა, წამოდგა და, ასე გასინჯეთ, ტახტიდგანაც-კი ჩამობრძანდა.

— სწორედ ჭკვიანი კაცი ყოფილა ჩემი ვეზირი; როგორ მიაძინა ამოდენა ხალხი! ეჰ, მე-კი არა მეშველა-რა და! ვის მივმართო? ვის ვთხოვო განკურნება?

მაგრამ თითონ აღარავისთვის უთხოვნია: ქვეყანამ გაიგო ბატონის ტანჯვა და ყველა იმის განკურნებასა და ჯილდოს მიღებას სცდილობდა. ზოგი წამალს ასმევდა, ზოგი მალამოს ადებდა, ზოგი ულოცავდა, მაგრამ ამაო იყო ყოველივე, ბატონის თვალს ძილი არ ეკარებოდა და რაც ხანი გადიოდა, მით უფრო ბოროტდებოდა ავადმყოფი. ბოლოს სასტიკი ბრძანება გასცა: თუ კიდევ გაბედა ვინმემ, მიწამლა და ვერ მომარჩინა, თავს მოვაგდებინებო.

სამის დღის განმავლობაში მზის ამოსვლისა და ჩასვლის

დროს შიკრიკი დადიოდა ქალაქში და მაღალის ხმით აცნობებდა ხალხს ბატონის ბრძანებასა.

სწორედ მესამე დღეს შეიტანა ქალაქში გასასყიდად ერთმა გლეხ-კაცმა კიტრი და ყური მოჰკრა შიკრიკის განცხადებასა. გამვლელ-გამომვლელთ კითხვა დაუწყო და, რა გაიგო ბატონის უძილობა, ღრმად ჩაფიქრდა: სალოკი თითი შუბლზედ მიიდო, პირი დააღო და კარგა ხანს იდგა გაშეშებული. ბოლოს, თითქოს რაღაცა საკეთილოს მიჰხვდაო, პირდაპირ სასახლისკენ გასწია.

მივიდა, მაგრამ ვინ შეუშვებდა სასახლეში ვილაც გლეხს? ჯერ შეუტიეს, მერმე კარგებიც წაუთაქეს, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა და იმისთანა ხმით ყვიროდა,—უებარი წამალი ვიცი,—რომ ხელმწიფის ბედნიერ ყურამდე მიაღწია იმისმა ძახილმა.

— შემოიყვანეთო, ბრძანა.

— უებარი წამალი ვიცი, შენი ჭირიმე, უძილობისა და იმიტომ ბეგაწუხე. თუ მიბრძანებ...

— ჩემი ბრძანება იცი? იცი, რომ თავს გაგაგდებინებ, თუ ვერ მომარჩინე?

— ვიცი, შენი ჭირიმე, ჩემი ფიქრი ნუ გექნება. ოღონდ მიბრძანე და ისე განიკურნები...

— ძალიან კარგი. ვნახოთ, როგორი ექიმბაში ბრძანდები.

— ოღონდ... რა მოგახსენო, ბატონო... პირობა უნდა ბომცე, რომ ერთის დღის განმავლობაში რაცა გთხოვო, ყოველივე ამისრულო.

— კარგი და პატიოსანი.

— ჰო, და დაიხურე, შენი ჭირიმე, ქუდი და ვიაროთ.

გავიდნენ, ჩქარის ნაბიჯით გაიარეს ქალაქი და ცოტა ხანს უკან ერთს ვიწრო ხეობაში შევიდნენ. ბილიკს მიჰყვა გლეხი, ტყის პირს ყანასთან მივიდა და ბედნიერი თვალით გადაჰხედა თავის ნაჭირნახულევს.

— როგორ მოგწონს, ბატონო? ღვთის თვალი ტრია-

ლებს შიგა, განა?! იცის ბიჭმა, და! დღეს თუ არ მოვმკეთ, დავიღუპები კაკალი კაცი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქვე ბუჩქებში ორი ნამგალი ჰქონდა მიმალული, გამოიღო, ერთი თითონ შეათამაშა, მეორე ხელმწიფეს მისცა და გაეხუმრა:

— ვნახოთ, ვის დარჩება დღეს დეკეულის თავი!

ერთხელ კიდევ შეათამაშა ნამგალი და ლომივით ეცა ყანას. ბატონიც დაიხარა, შეუდგა მკას. პირველში სიამოვნება იგრძნო, რადგან პური ძალზედ შემოსული იყო და ადვილი სამკალი; მაგრამ ძალიან მალე ასტკივდა წელი და წელის ტკივილს მრავალი უხერხულობა სხვა დაერთო: საშინლად სწვავდა მზე, წურწურით ოფლი სდიოდა, ხელში ეკალი ჰხვდებოდა, ფეხში ნამგალი. მაგრამ რას იზამდა, ხომ არ გასტეხდა თავის სიტყვასა?

შუადღემდე როგორც იყო მიჰყვა თავისს მკურნალს და გაათავეს კიდეც სამკალი. რომ გადაჰხედა მიწას და ეკვე მწოლარე ნახა მთელი ყანა, ერთი მაგრა ამოიხვნეშა და იქვე დაეშვა მიწაზედ.

— მობრძანდი, შენი ჭირიმე, შენაყრდი... შუა დღეა... რა მექნა ის საოხრო გუდა? აი, დალახვრა ღმერთმა, თურმე ზედა ვმჯდარვარ! ეს მჭადი, ჩემი ხარ ბატონი, ეს კიტრი და ესეც მარილის თვალი. კარგი იქნებოდა, ღვინო მქონოდა, მაგრამ საჩვენოდ ვინ გახდის, შენი ჭირიმე.

შენაყრდნენ. ცოტა შეისვენეს მუხის ჩრდილში.

— ავდგეთ, ბატონო, თორემ ველარ აუვალთ ამოდენა საქმეს.

— რა საქმეს? ხომ მომკე, რაღა გინდა?

— ძნად უნდა შევკრათ, ერთს ალაგს დავდგათ, თორემ...

— არ იქნება დღეს თუ არ შეჰკარ?...

— რომ გაავდრდეს, ბატონო, ხომ დამეღუპა წვრილშვილი.

მწარედ ამოიოხრა ხელმწიფემ, კინაღამ გული თან ამოაყოლა და წამოიწია. მზის ჩასვლამდე მთლად შეჰკრეს და და-

დგეს ძნა, მაგრამ ისე მოიღალა ბატონი, ისე მოიქანცა, რომ ფეხზედ ველარ იდგა.

— ახლა-კი კმარა! შინ წამობრძანდი, შენი-ჭირიმე, აქვე ახლო გახლავარ.

კიდევ კარგი, რომ მართლა ახლო ჰქონდა თავისი ქოხი. სახლის შესავალთან დიდი ლოდი ეგდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაბრძანდი, ბატონო, მიიწვია მასპინძელმა და ლოდი შესთავაზა სკამად.

— ოჰ, შენ გიშველა ღმერთმა!

— მე კიდევ შეჭამანდს შევდგამ... რა ვქნა, შენი ჭირიმე, დედაკაცი აღარა მყავს და...

— მე-კი არა მშიან და! ოღონდ ერთი დამაძინე სადმე... აი, თუნდ აქვე... იჰ, რა კარგია!..

სიპს ლოდზედ-კი ჩაეძინა ხელმწიფეს!

ასწია გლეხკაცმა მძინარე ბატონი, შეიყვანა სახლში და თავისს ლოგინზედ დააწვინა.

მეორე დღეს შუადღე კარგად გადასული იყო, როდესაც ეზოხის კარს ვეზირი მიადგა გულგახეთქილი,—ბატონი აღარსადა სჩანს, ხომ არ გინახავსო?

— აქა ბრძანდება.

შევიდა ქოხში ვეზირი და განცვიფრებული-კი დარჩა: ბატონს ეძინა და საამურად ხვრინავდა.

— რა ვქნა? ბატონსა სძინავს, თუ მე ვარ სიზმარში? ნუ თუ მართლა სძინავს?

— სძინავს და აგრე! ჩვიდმეტი საათია, ფეხი არ გაუქნევია.

— საკვირველია! უცნაურია! სასწაულია სწორედ!

იმისთანა ხმით წამოიძახა ვეზირმა, რომ ხელმწიფე გამოაღვიძა. გაახილა ბატონმა თვალი, მიიხედ-მოიხედა და გაიკვირვა:

— ნეტავ, სადა ვარ?

ბოლოს ვეზირი იცნო, რომელიც მოწიწებით თავს უკრავდა, იცნო აგრეთვე გლეხ-კაცი და გამოფხიზლდა.

— შენა ხარ ჩემი მხსნელი, შენა! მთელს ჩემს საბრძანებელში მარტო შენ გცოდნია უძილობის წამალი! უებარი წამალი გცოდნია! ჩემს დღეში არსად მძინებია ასე ტკბილად! რაც გინდა მთხოვე, ოღონდ მასწავლე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა, ბატონო?
— უძილობის წამალი.
— შრომაა, შენი ჭირიმე.

**ივ. მაჭავარიანი.**

# ქანდაკება ეგვიპტელ ღმერთისა.

(თარგმანი-ზდაპარი)

უზეუმის დიდს ოთახში ეგვიპტელ ღმერთის ქანდაკება იდგა; იპოვეს იგი იმ შორეულს მხარეს, სადაც ღრმა ნილოსი ცელქად მოათამაშებს ტალღას ტალღაზედ, სადაც სამხრეთის ცხელი მზე დაუღალავადა და უხვად აბნევს თავისს მხიარულსა და ცხოველსმყოფელს სხივებს ლამაზად ამართულს ბზებს. იქ, დიდებულ ძველის ტაძრის ნანგრევებში, რომლისთვისაც ბოლო მოელო ჟამთა ვითარებასა და ადამიანის ხელს, გადარჩენილიყო მხოლოდ-ღა ეს ქანდაკება. მისთვის დრო შესანიშნავის სისწრაფით გარბოდა, საუკუნოები წუთებათ ეჩვენებოდა.

იმ მხარეში აუარებელი ხალხი მიდი-მოდიოდა; ომობდა, იმონებდა სხვებს და თვითონაც ემონებოდა. იცვლებოდა მათი ზნე-ჩვეულება, მათი სარწმუნოება. დროთა ბრუნვისაგან ძველი ტაძარი უფრო და უფრო ინგრეოდა, მაგრამ ქანდაკება ისევ ისე ხელშეუხებელი რჩებოდა. უწინდებულად ქვის ხელები ისევ წყნარად ეწყო მას მუხლებზედ, ისევ ისე უაზროდ ულიმოდა განიერი ტუჩები და უსიცოცხლო, უმეტყველო თვალები შორს, შორს სადღაც გაიცქირებოდნენ. ან რა გამოსცვლიდა მას? ის არის გაკეთებული იმისთანა მაგარ და გამძლე მასალისაგან, რომ თვით ულმობელ დროთა ვითარებასაც-კი არ ძალ-უძს მასზედ გაბატონება. მუხთალი, უკულმართი ბედი? იქნება იმან იმოქმედა? ოჰ, არა, ქანდაკება მასზედ მაღლა სდგას. მართალია, მიეჩვია თაყვანისცემას, რომელსაც ახლა მოკლებულია, მაგრამ მაშინ, როდესაც აუარებელი ხალხი მიისწრაფვოდა ხოლმე მისკენ, როგორი უფერული სჩანდა ეს წუთიერი ამაქვეყნიური თაყვანისცემა, შედარებით იმ ზეციურ დიდებასთან, რომლითაც გარემოსილნი არიან ღმერთები. ახლა-კი აღარავინა სჩოჩავს მის ფერხთა ქვეშე და არ ჰლაღადებს ლოცვასა; აღარავინა სცდილობს მისს გულის მოლბობას გულშემზარავის მწარე კვნესითა და გოდებით. მაგრამ რა შესადარებელია ეს დროებითი მისი დავიწყება ხალხისაგან იმ მონურ თაყვანისცემასთან, რომელსაც იგივე ხალხი უცხადებდა მას საუკუნოების განმავლობაში. ქანდაკება კვლავ აღუშფოთებლივ, გულცივად შეჰყურებდა ყოველისფერს, რაც-კი მის გარეშემო ხდებოდა. მხოლოდ ერთხელ დაარღვიეს მისი მყუდროება, შორეულ მხრიდგან მოვიდნენ ვიღაც ადამიანები და ძლივს-ძლივობით, წვალებით წაიყვანეს იგი, თავიანთ ქვეყანაში მიიტანეს და მუზეუმში დასვეს სხვა ძველ ნაშთებს შორის. პირველის შეხედვით ეგონებოდა ადამიანს, რომ მის გულში უწინდებულად სიმშვიდე იყო გამეფებული; მან თითქოს იცოდა, რომ მომავალში კიდევ მოელოდა ერთი ცვლილება; მაგრამ უძნელდებოდა ამ უცხო მხარის ნესტიან ჰაერით სუნთქვა, გულის ტკივილით

იგონებდა ის ცხოველს მზეს, თავ-მომწონედ ამართულს ბზებს და იმ მომხიბლავს ლურჯ ცის კამარას, რომელიც მედიდურად გადაჰფენოდა მის სამშობლოს. იგონებდა აგრეთვე საღამო ჟამს, როდესაც ჩამავალი მზე უკანასკნელად სტყორცნიდა ხოლმე თავისს მხიარულ სხივებს არე-მარეს და გაფურჩქნულ ხეების ჩრდილი შორს გაწვებოდა დედამიწაზედ. არ ავიწყდებოდა ის სევდიანი ღიღინიც მაშვრალ მგზავრისა, რომელიც წყნარად იბნეოდა ხოლმე სუფთა ჰაერში; ტურების ყმუილსაც-კი სიყვარულით იგონებდა. ყოველივე ძვირფასი იყო მისთვის, რადგანაც სამშობლო მხარეს აგონებდნენ მას. და ღამ-ღამობით, როდესაც ხალხის დრტვინვა და ხმაურობა მისწყდებოდა, ქანდაკება მწარე ფიქრებს მიეცემოდა ხოლმე და ოცნებით ისევ შორეულს, ტურფა სამშობლოში ფრინავდა. თავის ახალს ცხოვრებაში ქანდაკებას ყველაზედ ძლიერ სძულდა ისინი, ვინც მუზეუმის დასათვალიერებლად მიდიოდა. როგორც საკუთარს სახლში, ისე დათარეშობდნენ ისინი მუზეუმის ოთახებში: ათვალიერებდნენ სხვა-და-სხვა ნივთებს, რომლებიც უწინდელს ხალხს შიშის ზარს ჰგვრიდნენ და უღვიძებდნენ სურვილს მონურ თაყვანისცემისას. ხანდისხან უფროსებს მოჰყავდათ აგრეთვე მოზარდი თაობა და უხსნიდნენ მათ, რომელს მათგანს რა მნიშვნელობა და აზრი ჰქონდა უწინ. მაგრამ ქანდაკებას ამ ახსნის დროს ესმოდა მუდამ ერთი და იგივე აზრი: უყურეთ, როგორი გაუნათლებელნი და უვიცნი ყოფილან ჩვენი წინაპარნი; თაყვანსა სცემდნენ აი, ამ საზიზღარს კერპებს; შეჰხედეთ, როგორი გაუგებარნი ყოფილან ჩვენი წინაპარნი; აი ამას, რასაც ახლა ჰხედავთ თქვენ თვალ წინ, ისინი უწოდებდნენ საუცხოვო ხელოვნურ ნაწარმოებს. მოდიოდნენ ზოგჯერ მარტო ბავშვები უუფროსებოდ; მაშინ ხომ საზღვარი აღარა ჰქონდა ხოლმე მათს დაცინვასა:

— უყურეთ ერთი, რა საძაგლობაა! უჩვენებდნენ ქანდაკებაზედ.

— იცინის, შეჰხედეთ ერთი!—დაუმატებდნენ და თა-

ნაც უსირცხვილოდ ჩაჰკრავდნენ ხოლმე თავში და გულიანად კისკისებდნენ.

ოჰ! როგორა სწყინდა ქანდაკებას ეს უზრდელი ქცევა ბავშვებისა. მოუთმენლად ელოდა ხოლმე ღამეს, რომ მყუდროდ მისცემოდა დასვენებასა. მაგრამ არც ღამე შორდებოდა მას მწარე ფიქრები. აგონდებოდა ყოველისფერი, რაც კი დღისით ესმოდა და სწყინდა. უზომოდ სწყინდა ასეთი გათახსირება. ებრალებოდა არა მარტო თავისი თავი, არამედ თავისი დრო და ხალხიც. რაღაცა გამოურკვეველი აზრი ერთს წუთს მოსვენებას არ აძლევდა მას და მედგრად თხოულობდა დროზედ გამორკვევასა. ქანდაკებაც დაუღალავად ფიქრობდა და ცდილობდა მისს გამორკვევასა. და აგერ, ერთხელ მიჰხვდა იგი ყოველისფერსა; სრული ჭეშმარიტება მთელის თავისის არსებით ნათლად წარმოუდგა მას თვალ წინ: მიჰხვდა ქანდაკება, რომ იგი სამუდამოდ დაიღუპა. ეს კიდევ არაფერი... მან გაიგო აგრეთვე მიზეზი თავისს დაღუპვისა. მიჰხვდა, რომ იგი შეიქმნა ხალხისათვის სრულიად უცხო, გაუგებარ საგნათ, რომელსაც ახალი თაობა მხოლოდ დაცინვითა და ზიზღით-ღა ასაჩუქრებს.

მიჰხვდა, რომ საუკუნოდ ბოლო მოელო მისს მფლობელობასა და პარპაშს, მისს დროს და ხალხს.

ოჰ! ტყუილად კი არ ეცხოვრა ქანდაკებას ამდენი ხანი ამ ქვეყნად. კარგადა ჰქონდა შესწავლილი ადამიანის გული, იცოდა, რომ ძველ ღმერთებს დასცინიან და ათახსირებენ მუდამ, როდესაც ხალხი ჰქმნის ახლებს; მიჰხვდა, რომ იგი არის მხოლოდ საბრალო ტყვე ამ დიდებულ სამეფოში ახალ ღმერთებისა, რომლებმაც დასთრგუნეს ძველი ღმერთები და წაართვეს მათ არამც თუ აწმყო, არამედ მომავალიც და წარსულიც.

უზომო ნაღვლით აევსო გული ქანდაკებასა. ცხარე ცრემლები დააფრქვია ცივს იატაკსა. სტიროდა გულამოსკვნილი უნუგეშოდ ამ დიდებულ მუზეუმის სასახლეში.

ხელები-კი უწინდებურად მშვიდად ეწყო ისევ მუხლებზედ; ისევ ისე უაზროდ ულიმოდა ბაგენი. უფეროული, ტმეტყველო თვალებიც შორს სადღაც გაიცქირებოდნენ.

ნ. ბ—ძე.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჯუზეპო გარიბალდი, იტალიის განმათავისუფლებელი.

(გაგრძელება)

ბ გარიბალდი აგერ 50 წლის კაცი იყო, მაგრამ მისი სახე ისევ მშვენიერი და მიმზიდველი იყო; მისი მომხიბლავი ღიმილი ყოველი კაცის გულს იმორჩილებდა, ეს პატიოსანი გმირი რაღაც ორიგინალურად, მიმზიდველად იყო ჩაცმული. წითელი პერანგი, ნაცრის ფერი შარვალი, კისერზედ აბრეშუმის მანდილი და კალაბრიის ფართო ქუდი. აი, რა შეადგენდა მის მუდმივს ტანთსაცმელს...

დიდის სიფრთხილით, რომ პოლიცია თავს არ დაჰსხმოდა, გარიბალდიმ თავისი „ათასი“ *) ორ გემზე მოათავსა და სიცილიისაკენ გასწია. ერთი კვირის შემდეგ ამ „ათასმა“ მის წინამძღოლობით ბურბონების ოთხი ათას კაცისგან შემდგარი ჯარი დაამარცხა და უკუ აქცია. ოც-და-ექვსს მაისს გარიბალდი თვით პალერმოს მიუახლოვდა და ალყა შემოარტყა. ბრძოლის დაწყებამდის მან შემდეგი მოკლე, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი სიტყვით მიმართა თავის ჯარის-კაცთ: „ხვალ ან პალერმოში ვიქნებით და ან ჩემს გვამს დამარხავთ“! იმ ღამესვე მან დაამარცხა ქალაქის დარაჯნი, რომელნიც ბურბონთა ჯარს შეადგენდნენ და ქალაქი დაიჭირა.

---

*) ამ რაზმს, რადგან ათასი კაცისაგან შესდგებოდა, „ათასი“ დაერქვა; მხოლოდ რამდენისამე გამარჯვების შემდეგ ამ „ათასს“ „დიდებულიც“ მოუმატეს.

მცხოვრებნი დიდის ამბით მიეგებნენ მას და „გაუმარჯოს იტალიას!“ და „გაუმარჯოს გარიბალდის“! ძახილს ბოლო აღარა ჰქონდა. აუსრულდათ მათ იმედი, რომელიც შეუძლებლად მიაჩნდათ; განდევნილ იქმნენ ბურბონები! სამშობლოსადმი სიყვარულმა და პატიოსანმა გმირობამ ახსნა ჯაჭვები ამ მშვენიერ ქვეყანას, გაანთავისუფლა იგი მტარვალთა ბრჭყალებისაგან და შესწყვიტა ხალხთა უბედური მდგომარეობა. დიდი სახელი და პატივისცემა მოიხვეჭა გარიბალდიმ ასეთ დაუფასებელ საქმით: ამის შემდეგ მისს მტრების წინააღმდეგ გალაშქრებას მხოლოდ დაუსრულებელი დღესასწაულობის ხასიათი ჰქონდა. მას, როგორც სამშობლოს განმათავისუფლებელს, ყველგან დიდის ამბით და სიხარულით ეგებებოდნენ; ყოველი მხრიდან უგზავნიდნენ ფულს და იარაღს; ყოველ დღე მის რაზმს ახალ-ახალი თავისუფალ მეომართა ჯგუფი ემატებოდა. ასეთის ერთსულოვანობით და სამშობლოსადმი სიყვარულით სიცილია ძლიერ მალე იქმნა გაწმენდილი ბურბონთა ჯარებისაგან; ამ დიდი გამარჯვების შემდეგ ბევრი იტალიელთა ჯარის-კაცი პირდაპირ, დაუმალავად გადადიოდა გარიბალდის ჯარში და შემდეგში საკვირველ გმირობას იჩენდნენ.

მთელი სამხრეთ-იტალია გათავისუფლებული იყო, მხოლოდ ნეაპოლი კიდევ უცხოელთა ხელში იმყოფებოდა. გარიბალდიმ არც ეს ქალაქი დასტოვა უყურადღებოდ და მისი გათავისუფლებაც მოიწადინა; ამ მიზნით დიდი რაზმით კალაბრიაში გადავიდა და ნეაპოლისაკენ გაეშურა. კალაბრიის კოროლმა—ფრანციფ-ბურბონმა ჯერ წინადადებით მიჰმართა, რომ ერთმანეთში მშვიდობიანობის ზავი ჩამოეგდოთ. ასეთ პირობებს უდებდა გარიბალდის: დაგითმობ სიცილიას და ამასთანავე თორმეტ მილიონ ლირს გადავიხდი, ოღონდ-კი კალაბრია ნეაპოლით ისევ ჩემს ხელში დარჩესო. გარიბალდიმ წაიკითხა „მისი უდიდებულესობის“ წერილი, პასუხის ლირსიც არ ჰყო და პირდაპირ ნეაპოლისაკენ გაეშურა. კოროლმა, გაიგო თუ არა გარიბალდის გამოლაშქრება, მაშინ-

ვე მიატოვა თავისი სატახტო ქალაქი ნეაპოლი—რადგან ნეაპოლელებისა ძლიერ ეშინოდა და პატარა ქალაქში—კაპუიაში—დაიმალა. ნეაპოლთან გარიბალდის მცხოვრებთა დეპუტაცია დაჰხვდა და ქალაქის გათავისუფლება მიულოცა; მცხოვრებნი მოუთმენლად ელოდნენ თავის განმათავისუფლებელს...

თუმცა ნეაპოლის სიმაგრეში კიდევ იყო ბურბონთა ჯარი, მაგრამ ამის-და-მიუხედავად გარიბალდი მხოლოდ რამდენისამე აფიცრის თანხლებით შევიდა ქალაქში. როდესაც მისი ეტლი ქალაქის ერთ სიმაგრეს გაუთანასწორდა, ჯარის კაცთ ერთი ოფიცრის ბრძანებით სურდათ ტყვიით მიჰგებებოდნენ. მათ სურდათ მოესროთ დიდებული „მეამბოხე“, მაგრამ გარიბალდი არ შეუშინდა მასზე მოღერებულ თოფებს, წამოდგა ეტლიდან და მომხიბლავის ღიმილით მიესალმა ჯარის-კაცთ, როგორც თავის ძმებს. ჯარის-კაცებმა, თითქოს მოჯადოვებულებმა, მაშინვე თოფები ძირს ჩაუშვეს და სამხედრო პატივით მიესალმნენ და თავის მხრით გამოაცხადეს გარიბალდი ქალაქის ახალ მმართველად.

მისი ეტლი ნელ-ნელა მიდიოდა, რადგან სუყველა ქუჩები სიხარულით აღტაცებულის ხალხით იყო გატენილი. ბოლოს ეტლი სასახლეში მივიდა, სადაც გარიბალდისათვის სადგომი იყო მომზადებული; ათი საათის განმავლობაში ხალხი არ იშლებოდა და სხვა-და-სხვა სიმღერების და მარსელიეზის გალობით აცხადებდა თავისს აუწერელ სიხარულს. ბოლოს გამოაცხადეს, რომ ღენერალმა დაიძინაო და ცოტა სიჩუმე იყოსო. ხალხი მაშინვე ძლიერ წყნარად დაიშალა და მხოლოდ ერთმანეთს უჩურჩულებდნენ: „სძინავს, სძინავს!“-ო. რამდენისამე წამის შემდეგ სასახლის წინ არავითარი ხმაურობა აღარ ყოფილა...

მეორე დღეს ხალხი ისევ შეიკრიბა სასახლესთან და „გაუმარჯოს გარიბალდის!“ ძახილით და მარსელიეზის გალობით მიეგება თავის მხსნელს, რომელიც სახეზე ჩვეულებრივის ღიმილით ხალხისაკენ მიდიოდა. მან გამოაცხადა ნეაპოლი და სიცილია პიემონტ-ლომბარდიასთან შეერთებუ-

ლად და მცხოვრებლებს ასეთი კითხვა მისცა: ჰსურთ მათ თავის მეფედ ბიქტორ ემმანუელი, თუ არა. ხალხმა მაშინვე ერთხმად ამოირჩია თავის მეფედ კოროლი ბიქტორ ემმანუელი. ექვს ნოემბერს კოროლმა საჩუქარისავით, თავის მხრით უშრომლად მიიღო გარიბალდისაგან მთელი სამხრეთი იტალია. ის დიდი ამბით შევიდა ნეაპოლში, მაგრამ ხალხი მას გულ-გრილად დაუხვდა და არ მიეგება ისეთი სიხარულით, როგორც თავის ნამდვილ მხსნელს. კოროლმა ასეთი გმირობისათვის გარიბალდის ყველა საჩუქარი აღუთქვა, მაგრამ ჯუზეპომ ყველაფერზედ უარი განაცხადა და ხელცარიელი თავის კაპრერაზე გაემგზავრა დასასვენებლად. თავის უკვე შემცირებულ „ათასს“ რომ ემშვიდობებოდა, ასეთი სიტყვით მიჰმართა: „ძმებო, დღეს ჩვენ ერთმანეთს ვშორდებით, მაგრამ იცოდეთ, რომ ჩვენი გაშორება ხანგრძლივი არ იქნება. ძლიერ მალე ისევ შეერთდებით და ძმურად გავილაშქრებთ იმ უცხოელთა წინააღმდეგ, რომელნიც წურბელასავით სისხლსა სწოვენ კიდევ ზოგიერთ ჩვენს დამონავებულ ძმათაგანს. გავანთავისუფლებთ უცხოელთა კლანჭებისაგან ჩვენთან ერთად შეზრდილ ძმანებს და დავაარსებთ შეერთებულ და თავისუფალ იტალიას! დრო არის დამარცხდეს უსამართლობა და დამყარდეს ძმობა, ერთობა და თავისუფლება, დამყარდეს სამართალი და ჩაგრულ ხალხის ბედნიერება!“ და მართლაც, გარიბალდისათვის წმიდა საქმე ჯერ კიდევ არ იყო გათავებული; ეხლა მხოლოდ ის-ღა ჰრჩებოდა, რომ დანარჩენ იტალიასთან ერთად ვენეცია და რომი შეერთებული ყოფილიყო.

## VII

რომის, და ვენეციის მდგომარეობა ერთს წუთს არ აძლევდა მოსვენებას გარიბალდის. ის ყოველთვის უხსენებდა პიემონტის კოროლს, ბიქტორ-ემმანუელს, რომ მისი ზნეობრივი ვალდებულებაა მოსპოს პაპის მსოფლიო უფლებანი და გადიტანოს შეერთებულ იტალიის სატახტო ქალაქი რომ-

ში, სადაც რამდენისამე საუკუნის განმავლობაში სცხოვრობდნენ და იცვლებოდნენ რომაელთა მეფეები. როგორც სახლი უსახურავოდ არ ვარგა საცხოვრებლად, ისე მისი ფიქრით — იტალია ურომოდ კიდევ არ იყო შეერთებული და თავისუფალი. მაგრამ კოროლი როგორღაც იცდიდა, ამ წმიდა საქმეს ხელსაც არ ჰკიდებდა და მხოლოდ გარიბალდის სთხოვდა ცოტა ხნით მოთმენას. მაგრამ დიდმა ხანმა გაიარა და რომი ისევ დანარჩენ იტალიასთან შეუერთებელი რჩებოდა. ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა გარიბალდიმ თვითონ კოროლის დაუკითხავად მოინდომა რომის აღება, ბიქტორ ემმანუელმა, პაპისა და ავსტრიელთაგან დაშინებულმა, მისს წინააღმდეგ თავისი ჯარი გაგზავნა. მან გაგზავნა ჯარი მის წინააღმდეგ, ვინც თავისი სისხლით შეუერთა დაბეჩავებული და დაობლებული იტალია და გადასცა მას, პიემონტის კოროლს. გარიბალდის კოროლის ჯარი ასპრომანტესთან შეეჯახა. ორივე ჯარმა ერთმანეთზე საშინელი თოფის სროლა ასტეხა. დაიწყო თუ არა ბძოლა, გარიბალდი თავის ჯარის წინ გავიდა, უნდოდა თავის ჯარისათვის სროლა დაეშალა; მაგრამ იმ წამსვე დაჭრილი მიწაზე დაეცა. მაშინვე მას მიეშველნენ ჯარის კაცნი ორივე რაზმიდან. რა საშინელი უბედურება გამოიხატებოდა ამ გმირის ჯარის-კაცთა სახეზე; მათ რაღაც შეუძლებლად, დაუჯერებლად მიაჩნდათ კოროლის ჯარის გარიბალდისადმი ასეთი ყოფაქცევა. მათ ვერ წარმოედგინათ ისეთი იტალიელი, რომელსაც სამშობლო ჰყვარებოდა და გარიბალდზე დანა მოეღერებინა. ეს შეეძლო მხოლოდ იტალიელთა გათავისუფლების მტერს, მტრისგან მოსყიდულ უსინიდისოს. ეხლა კი მათ თავის თვალით ნახეს, რომ მათი წინამძღოლი დაჭრილია ისევ იტალიელისაგან. იტალიელთა ჯარმა დასჭრა თავისი მხსნელი და ტყვეთ წაიყვანა! მერმე, ვისი ბრძანებით მოხდა ეს ღველაფერი! იმ ბიქტორ-ემანუელის ბრძანებით, რომელსაც ვარიბალდი სულით და გულით ემსახურებოდა!

დაჭრილი გარიბალდი ციხეში დააწვინეს: მასთან არც ერთს მის მეგობართაგანს არ უშვებდნენ. გმირი ორ ალაგას

იყო დაჭრილი: მარცხენა თეძოში და კანჭის ზევით მარჯვენა ფეხში; ჭრილობა ძლიერ აწუხებდა. მარჯვენა ფეხში ჭრილობა ისეთი საშიში იყო, რომ ექიმებმა გადასწყვიტეს, მოეჭრათ გარიბალდისათვის ფეხი, მაგრამ რუსეთის სახელგანთქმულმა დოსტაქარმა პიროგოვმა უარი განაცხადა ექიმების ასეთ დასკვნაზე და თვითონ იკისრა მისი მორჩენა. რამოდენიმე კვირის შემდეგ გარიბალდის ფეხიდან ტყვია გამოიღო და დასახიჩრებას გადაარჩინა. როგორც კი ცოტაოდნავ გამომრთელდა ჯუზეპო ავადმყოფობიდან, ნება მისცეს თავის სახლში—კაპრერაზე—დაბრუნებულიყო. გარიბალდი მალე შეურიგდა კოროლთან თავის შეურაცხყოფას; სიძულვილს და შურის ძიებას მასში არავითარი ალაგი არა ჰქონდა; მაგრამ იტალიელთ-კი არას დროს არ შეეძლოთ ეპატივებინათ კოროლისათვის თავის დიდებულ გმირის ასეთი შეურაცხყოფა...გარიბალდის კიდევ არა ჰქონდა შესრულებული ის მოვალეობა, რომელიც მას თავისათვის ზნეობრივ ვალად მიაჩნდა. მას წინ კიდევ ბევრი ახალი უბედურება ელოდა... გაათავისუფლეს თუ არა დიდებული გმირი ტყვეობისაგან, მან მოინდომა მაძინის ნახვა. დიდებული იტალიელი პატრიოტი კიდევ საშიშად მიაჩნდა კოროლს და სულელური სიფთხილის გამო აუკრძალა მას იტალიაში ცხოვება. მაძინი იძულებული გახდა კოროლის ბრძანებას დამორჩილებოდა და ლონდონში დაბინავდა. გარიბალდიმაც აქ მოინდომა ჩამოსვლა, რომ თავისი ძვირფასი მოძმე ენახა. გაიგეს თუ არა ლონდონში, რომ იქ გარიბალდის უნდა ჩასვლაო, იწყეს მაშინვე დიდი მზადება იტალიის განმათავისუფლებელის მისაღებად. **ვასო ღამბაშიძე.**

(დასასრული იქმნება)

# თამარ მეფე

ამარის გამეფებამ (1184 წ) ფრთები შეასხა და იმედი მისცა ერთის მხრივ გარეშე მტრებს, მეორე მხრივ შინაურის წესებით უკმაყოფილოებს. გაიგეს თუ არა ქალის გამეფება საქართველოში, მტრებმა იწყეს მოურიდებლად შემოსევა სხვადა-სხვა მხრიდგან. მაგრამ ქართველებმა ყველგან შესაფერი პასუხი გასცეს მათ და დაარწმუნეს ისინი, რომ ქალის გამეფებას არაფერი ცვლილება არ მოჰყოლია იმ წესებში, რომლებიც შემოღებული ჰქონდათ წინანდელს მეფეებს საზღვრების დასაცველად.

უფრო საშიში იყო შინაური განხეთქილება, რომელმაც იჩინა თავი თამარის მეფობის პირველსავე წელს დიდებულთა შორის. დიდებულთა ერთმა ნაწილმა გამოაცხადა, აღარ დავემორჩილებით ზოგიერთს ძველს ხელისუფლებს, ისინი უნდა გამოცვლილ იქმნენ და ახლები დაინიშნენ ჩვენის არჩევითაო. ეს უკმაყოფილო დიდებულები იყვნენ დიდის გვარის შვილები და არ მოსწონდათ ის, რომ უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობანი ეჭირათ უგვარო პირებს. მათს უკმაყოფილებას, მართლა, ჰქონდა ზოგიერთი საფუძველი, რადგან იყო მაგალითები იმისი, რომ ზოგს დიდი თანამდებობა ებარა, თუმც შრომა აღარ შეეძლო, როგორც მაგალითად ყუბასარს, რომელსაც ეჭირა ამირ-სპასალრისა და მანდატურთ-უხუცესის თანამდებობანი, იმ დროს როცა ფი-

ლენჯის გამო აღარ უვარგოდა აღარც ენა, აღარც ხელ-ფეხი; ზოგი ულირსად იყო ამაღლებული. უმაღლესს ხარისხამდე მეფის პირადის წყალობით, როგორც, მაგალითად, მსახურთ-უხუცესი აფრიდონი. ხსენებულმა დიდებულებმა და მათ ჩაგონებით ჯარმაც მოითხოვეს ამ ორის ხელისუფლის დამხობა და გადაყენება სამსახურიდგან. თამარმა შეიწყანარა ეს მოთხოვნილება და ჩამოართვა ერთსაცა და მეორესაც თანამდებობა. ამ გარემოებამ გამოიწვია დიდებულთა შორის დიდი ქიშპი ადგილების დაჭერის გამო და გაიმართა გაუთავებელი ინტრიგა.

ამ ქიშპობის დროს თავი იჩინა მეჭურჭლეთ-უხუცესმა ყუთლუ-არსლანმა. მართალია, ეს ხელისუფალი დიდის გვარის ჩამომავალი არ იყო, მაგრამ ამაღლების სურვილი დიდი ჰქონდა. მან შეადგინა დიდებულთაგან პარტია, მიიმხრო ლაშქარი და მოითხოვა, რომ თამარ მეფეს დაეთხოვნა სამსახურიდგან ან გაემწესებინა ის დიდებულები, რომელთაც ეს პარტია აღნიშნავდა. თვითონ ყუთლუ-არსლანმა მოინდომა თავისთვის ამირ-სპასალარის ადგილი. თამარ მეფეს მეტად უცხოდ ეჩვენა ყუთლუ-არსლანის საქციელი და დანარჩენ დიდებულთა რჩევით დააჭერინა იგი. მისმა მომხრე დიდებულებმა და ლაშქარმა მოინდომეს ძალით გაენთავისუფლებინათ ყუთლუ-არსლანი და კიდევაც აიღეს ხელში იარაღი; მაგრამ მათ დასაწყნარებლად თამარმა მიჰმართა მშვიდობიანს გზას—სიტყვიერს ჩაგონებას, რაიცა მიანდო ორს პატივცემულს მანდილოსანს. —ხვაშაქ ცოქელს და კარავ ჯაყელს. იმათ პირით მეფე დაჰპირდა აჯანყებულებს სრულს პატივებასა, თუ დაწყნარდებოდენ. გასჭრა მანდილოსნების მოლაპარაკებამა და დიდებულები მივიდნენ თამართან პატივების სათხოვნელადა.

დიდებულთა საერთო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად თამარმა გამოაცხადა, რომ ხელისუფალთა დანიშვნას ისე, როგორც ყოველისავე სახელმწიფო საქმის გარდაწყვეტას, თვითონ-კი არ იკისრებდა მარტოდ-მარტო, არამედ ყველაფერში დაეკითხებოდა მთელის სახელმწიფოს დიდებულთა

კრებულს. ამნაირად თამარ მეფემ უარ-ჰყო თვითმპყრობელობა, რომელსაც იცავდნენ და ესწრაფოდნენ მისი წინაპრები და თავისი უფლება განსაზღვრა დიდებულთა კრებულით. ამ წესის მიხედვით, დიდებულთა კრებულმა აარჩია ახალი ხელისუფალნი, რომელნიც მინისტრების თანამდებობას ასრულებდნენ: მწიგნობართ-უხუცესად და ჭყონდიდლად ანტონ გელოვანი, ამირ-სპასალარად სარგის მხარგრძელი, მანდატურთ-უხუცესად ჭიაბერი, მსახურთ-უხუცესად ვარდან დადიანი, მეჭურჭლეთ-უხუცესად კახაბერ ვარდანიძე, ჩუნჩერახად მარუშიანი, ამილახორად გამრეკელ თორელი *) ამ ხელისუფლების საშუალებით თამარი ასრულებდა ყოველს სახელმწიფო საქმეს. ისინი, როგორც დიდებულები, მონაწილეობას იღებდნენ დიდებულთა ბჭობაში. დიდებულთა კრებული ერთის მხრივ იხილავდა და იწონებდა ან იწუნებდა მეფის წინადადებას, მეორე მხრივ თავის საკუთარს აზრს უდგენდამეფეს შესასრულებლად.

ამ ცვლილების მოხდენის შემდეგ დიდებულთა კრებულმა პირველ საზრუნავ საგნად გაიხადა თამარისთვის საქმროს მოძებნა და მისი დაქორწინება. საქართველოს სამეფო გვარში აღარავინ იყო ისეთი, რომ ტახტის მემკვიდრის უფლება ჰქონოდა. ამიტომ საჭირო იყო თამარის მალე გათხოვება, რომ მემკვიდრე გასჩენოდა. ბევრი იფიქრეს დიდებულებმა, აიღ-დაიღეს და ბოლოს საუკეთესო საქმროდ თამარისათვის რუსის დიდი მთავრის ანდრიას შვილი გიორგი სცნეს. იმ დროს გიორგი ყივჩაყეთში სცხოვრობდა, რადგანაც განდევნილი იყო რუსეთიდგან მის ბიძის ვსევოლოდის მიერ. დიდებულებმა კაცი გაგზავნეს გიორგი რუსის მოსაწვევად. გარეგნობით ძალიან მოეწონათ დიდებულებს გიორგი რუსი და წინადადება მის-

*) ამირ-სპასალარი განაგებდა მხედრობას, მანდატურთ-უხუცესი—პოლიციას, მსახურთ-უხუცესი—ციხეებსა და სალაშქრო იარაღს, მეჭურჭლეთ-უხუცესი—სამეფო ხაზინასა და ქონებას, ჩუნჩერახი—მეფის მეოჯახობას, ამილახორი—მეფის ცხენებისა და სხვა ცოცხალ საქონლის ჯოგებს.

ცეს თამარს, იგი შეერთო ქმრად. თამარი არ დაკმაყოფილდა საქმროს მოსაწონ გარეგნობითა და სთხოვა დიდებულებს, დაეცადნათ იმ დრომდე, ვიდრე კარგად გაიცნობდნენ გიორგი რუსის ხასიათსა და ზნეობასა. დიდებულებმა შეუძლებელადა სცნეს დაცდა და სთხოვეს თამარს, დაუყოვნებლივ დაეწერა ჯვარი. ამასვე ურჩევდა თამარს მისი მამიდა რუსუდანი. თამარი იძულებული შეიქმნა მისთხოვებოდა გიორგი რუსს თავის სურვილის წინააღმდეგ (1185 წ.).

გიორგი რუსი ვერ გამოდგა რიგიანი კაცი. მართალია, მამაცი იყო და კარგი მხედართ-მთავარი, მაგრამ მასთან ლოთი და უზნეოც. ბევრს ეცადა თამარი მოეშლევინებინა გიორგი რუსისთვის ცუდი ქცევა, მაგრამ ვერას გახდა. ამიტომ სრულებით ხელი აიღო ბოლოს და აღარ იკარებდა. ამ ყოფაში გაატარა თამარმა ორ-წელიწად-ნახევარი. ნახეს დიდებულებმა, რომ მათი გარიგებული საქმე ცუდად გათავდა, ძალად შერთული ქმარი არ გამოდგა სასურველი თამარისათვის და მემკვიდრე, რომლისთვისაც ისე დაჟინებით მოინდომეს თამარის ქორწინება, არ გაუჩნდათ. ამიტომ დაადგინეს თამარი გიორგის განშორებოდა. გიორგი რუსი საქართველოდგან კონსტანტინეპოლს გაისტუმრეს (1188 წ.)

ახლა მეორე საქმროს ძებნას შეუდგნენ დიდებულები თამარისათვის. თამარის ხელის მაძიებელნი ბევრნი იყვნენ ძალიანა, როგორც ქართველთა შორის, ისე უცხო ხელმწიფეთა შორის. ამ ჯერობაზედ დიდებულები აღარ მოიქცნენ ისე თავნებად, როგორც პირველადა: მიჰხვდნენ, რომ ძალით არჩევა თამარისათვის უნებურ საქმროსი არ ევარგებოდა და ამიტომ იმისთანა კაცის ძებნა დაიწყეს, რომ თვით თამარისთვისაც მოსაწონი ყოფილიყო. ასეთ საქმროდ მათ ოსეთის მთავრის შვილი დავით სოსლანი სცნეს, რომელიც, როგორც ბაგრატიონთა გვარისა და შორეული ნათესავი, შვილობილადა ჰყავდა გაზრდილი თამარის მამიდას ოუსუდანს თვითონ თამართან ერთადა. დიდებულთა ასეთი რჩევა, როგორც თავის გულის წადილის შესაფერი, მიიღო თამარმა და ჯვარიც დაიწერა დავით სოსლანზედ (1189 წ.).

დავით სოსლანმა რაღაცა ჯერ კიდევ გამოურკვეველის მიზეზით ვერ დააკმაყოფილა დიდებულთა ერთი ნაწილი. უკმაყოფილო დიდებულებმა მოახდინეს შეთქმულება, რომ გიორგი რუსი დაებრუნებინათ საქართველოში, როგორც თამარის კანონიერი ქმარი და დავით სოსლანი თამარისაგან

განეშორებინათ. მათის ჩაგონებით გიორგი რუსი საქართველოში შემოვიდა. სამცხის ერისთავი გუზან აბულასანიძე საზღვარზედ მიეგება, გადაიყვანა იმერეთში. მთელის იმიერ საქართველოს ერისთავები შეიკრიბნენ თავიანთის ლაშქრით გეგუთში. აქ მათ გიორგი რუსი გამოაცხადეს თამარის კანონიერ ქმრად და დაადგინეს ძალით გაემეფებინათ. განდგომილთა ჯარი ორ ნაწილად გაიყო. ერთი ნაწილი თვით გიორგი

რუსის წინამძღოლობით გადმოვიდა ქართლში, მეორე ვარ-
დან დადიანის წინამძღოლობით სამცხეში. ორივე ნაწილი
ერთს დროს უნდა მოსდგომოდა ტფილისს. გიორგი რუსი
თავისის ჯარით მოვიდა გორამდის და იქ დაბანაკდა. აქედგან
შეუთვალა ქართლისა და კახეთის დიდებულებს, რომ მიჰმხრო-
ბოდნენ მას. ვარდან დადიანს განზრახვა ჰქონდა გაევლო
სამცხე, მიემხრო ჯავახეთი და სომხეთი და შემდეგ თრიალე-
თის მხრით დასცემოდა ტფილისს.

თამარ მეფემ თავისს ერთგულ დიდებულების რჩევით
ვარდან დადიანის ჯარის წინააღმდეგ სამცხეში გაგზანა ჯა-
რი ამირ-სპასალარის გამრეკელის წინამძღოლობით. მოხდა
ბრძოლა განდგომილებსა და თამარის ჯარს შორის ნიალის
ველზედ, სადაც განდგომილები დამარცხდნენ. ეს ამბავი რომ
გაიგო გორში გიორგი რუსმა, მაშინვე უკან გაბრუნდა; ასე
რომ მის წინააღმდეგ ჯარით წასულს დავით სოსლანს ქართლ-
ში აღარავინ დაჰხვდა განდგომილთაგანი.

ამ გვარად დამარცხების შემდეგ განდგომილმა დიდებუ-
ლებმა შეინანიეს თავიანთი საქციელი და მიჰმართეს თამარს
ეპატიებინა. სვანეთის დიდებულებმა-კი თვითონ გიორგი
რუსი მიჰგვარეს თამარს შეპყრობილი. თამარ მეფემ შეიწყა-
ლა ყველანი. გიორგი რუსი ხელმეორედ გაისტუმრეს საბერ-
ძნეთს (1190 წ.). დიდებულების განდგომილებას შედეგად
მოჰყვა ის, რომ მეფეს დაუბრუნდა უფლება თავისის ნებით
დაეჯილდოვებინა ერთგული დიდებულები. თამარმა გამარ-
ჯვების შემდეგ დააწინაურა და დაასაჩუქრა დიდებულთა
კრებულის დაუკითხავად ის დიდებულები, რომელთაც მონა-
წილეობა მიიღეს განდგომილთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

გაამართლა დავით სოსლანმა იმედი იმ დიდებულებისა,
რომელნიც თამარის ქმრად ნატრულობდნენ სამხედრო ნი-
ჭის პატრონსა და მხნე მეომარსა. დამყარდა თუ არა ქვეყა-
ნაში მშვიდობიანობა გიორგი რუსის განდევნის შემდეგ, და-
ვით სოსლანი ლაშქრობას შეუდგა მეზობელს ქვეყნებში.
პირველი ლაშქრობა დავითის წინამძღოლობით მოხდა 1192

წ., ტახტის მემკვიდრის გიორგი ლაშას დაბადების მცირე ხნის შემდეგ, სანის ქვეყანაში ქალაქ ბარდავის წინააღმდეგ, გაიმარჯვეს ქართველებმა. დავით სოსლანმა ახლად-დაბადებულ გიორგის სადღეგრძელოდ 30,000 ტყვე გაანთავისუფლა. ბარდავიდგან დაბრუნებულმა დავითმა გაილაშქრა არზრუმზედ, საიდგანაც აგრეთვე ძლევა-შემოსილი დაბრუნდა. როგორც ამ წელს, ისე შემდეგს 1193 წელსაც რამდენიმე ლაშქრობა გამოიარეს ქართველებმა, ყველგან გაიმარჯვეს. 1194 წელს კონსტანტინოპოლიდან გამოძევებული გიორგი რუსი მოვიდა ადერბეჯანის ათაბაგთანა და მფარველობა სთხოვა. ათაბაგმა საცხოვრებლად განჯა მიუჩინა, უეჭველია, იმ აზრით, რომ იქიდგან ინტრიგები გაემართა თამარისა და დავით სოსლანის წინააღმდეგ. გიორგი რუსი ინტრიგას არ დასჯერდა და ძალაც იხმარა საქართველოს წინააღმდეგ. შეაგროვა ჯარი და შემოესია კახეთს. მაგრამ კახეთის ერისთავი მარჯვედ დაუხვდა და დამარცხებული განდევნა უკან. ამ წლიდან აღარ იხსენიება გიორგი რუსი საქართველოს ისტორიაში.

დიდი ბრძოლა გადაიხადა საქართველომ სპარსელებთან 1195 წ. ამ წელს ადერბეჯანის ათაბაგმა ამირ-ბუბაქარმა შეჰყარა დიდძალი ჯარი და გამოემართა საქართველოს წინააღმდეგ. ათაბაგის ძმა ამირ-მირანი ამ დროს საქართველოში იმყოფებოდა და თამარს ეევედრებოდა შემწეობას ძმის წინააღმდეგ, რომელმაც მას წაართვა მისი სამფლობელო არანი (განჯის ქვეყანა). ქართველებიც ემზადებოდნენ მისთვის შემწეობის აღმოსაჩენად. რაკი შეიტყო მთავრობამ, რომ თვითონ ათაბაგი მოდიოდა საქართველოზედ, შეგროვილს ჯარს არ დასჯერდა და კიდევ მოიწვია ახალი ლაშქარი მთელის საქართველოდგან. ათის დღის შემდეგ ყველაფერი მზად იყო ასამხედრებლადა. ჯარს დავით სოსლანი სწინამძღოლობდა. ქართველები შეჰხვდნენ სპარსელებს შამქორის ახლოს. გაიმართა მეტად ფიცხელი და გაშმაგებული ბრძოლა ორისავე მხრივ. სძლია ბოლოს ქართველების გაუტეხავობამ და მოხერხებულობამ მძლავრს მტერსა და გააქცია. მისი ავლა-

დიდება მთლად ქართველებს დაჰრჩათ. შამქორის დაჭერის შემდეგ ქართველები მივიდნენ განჯას. ქალაქის მცხოვრებლები წინ გამოეგებნენ ქართველებს, გამოუცხადეს მორჩილება და მშვიდობა სთხოვეს. თამარმა არანის სულთნად დაადგინა ისევ ამირ-მირანი, რომელმაც მორჩილება შეჰფიცა და თავს იდვა ხარკის ძლევა.

სახელმწიფოს საზღვრების გამაგრების საჭიროება და მეზობელ მძლავრ მტრების—სპარსებისა და ოსმალების ალაგმვის სურვილი აიძულებდა საქართველოს მთავრობას საზღვრად მდებარე ქვეყნებისა და ციხეების დაჭერას. ამნაირად დაიჭირეს ქართველებმა შირვანი კასპის ზღვამდე, არანი არეზის ნაპირებამდე და ყარსის ციხე მისის მიდამოებით. ქართველების ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი იწვევდა ახალის ნაბიჯის გადადგმას, რადგან ისეთი ბუნებრივი საზღვარი არ იყო, რომ შეეჩერებინა ძლევა-მოსილი წინმსვლელობა ქართველებისა. ეს გარემოება-კი მეორე მხრივ იწვევდა მეზობელს სახელმწიფოებში შეურიგებელს მტრობას ქართველების მიმართ და სურვილს სამაგიეროს გადახდისას. ასეთის მტრობით იყო გამოწვეული, მაგალითად, ამხედრება იკონიისა და მცირეაზიის სულთნის ნუქარდინისა საქართველოს წინააღმდეგ.

1202 წ. ნუქარდინ სულთანმა დიდძალი ჯარი შეაგროვა, მატიანის თქმით 400,000 კაცი და ამხედრდა საქართველოზედ გამოსალაშქრებლადა. წინდაწინვე გამოუგზავნა თამარ მეფეს თავხედი და შეურაცხმყოფელი წერილი, რომლიდგანაცა სჩანდა, რომ ნუქარდინს არავითარი ეჭვი არა ჰქონდა გამარჯვებისა. ნუქარდინი ემუქრებოდა თამარ მეფეს მთელს საქართველოს შემუსვრას, თუ თავისის ნებით არ დაემორჩილებოდა მას და არ მიიღებდა ისლამს. მიიღეს თუ არა წერილი, საქართველოს მთავრობა მაშინვე მზადებას შეუდგა. დავით სოსლანის წინამძღოლობით ქართველი ლაშქარი ბასიანისკენ გაემართა ნუქარდინის დასახვედრად. თვით თამარ მეფემ მიაცილა ჯარი ვარძიამდე. გამარჯვების სრული მოიმედე ოსმალები ბასიანში დაბანაკებულიყვნენ ბოლოსტიკის მინ-

დორზედ. ქართველები სწრაფად გაეშურნენ მათკენ და მოულოდნელად დაესხნენ თავსა. გაიმართა ცხარე ბრძოლა. შუა ბრძოლის დროს ქართველებმა ორის მხრივ შემოუარეს მტერსა და დაუშინეს მარცხნივაცა და მარჯვნივაცა. მტრის ჯარი შეირყა, გაიქცა. ქართველები დაედევნენ გაქცეულებსა და ბევრი დახოცეს და დაატყვევეს.

ამ დიდებულის გამარჯვების შემდეგ ქართველების ძალა და სიმაგრე საგრძნობელი შეიქნა ყველა მეზობლებისათვისა და აზრადაც აღარავის მოსდიოდა მის წინააღმდეგ შებრძოლება. პირ-იქით ყველანი მასთან კარგის განწყობილების დაჭერასა და მის მფარველობის ქვეშ ყოფნასა სცდილობდნენ. ამ დროს ისარგებლა საქართველოს მფარველობით ვიზანტიის იმპერატორის შვილისშვილმა ალექსი კომნენოსმა: ჯვაროსნებმა რომ ვიზანტია დაიჭირეს და მის ადგილას ლათინთა იმპერია დააარსეს, თამარის ნათესავმა ალექსი კომნენოსმა თამარის დახმარებით დაიჭირა შავი ზღვის პირად მდებარე ქვეყნები და ქალაქები და დააარსა ტრაპიზონის იმპერია (1204 წ.).

1207 წ. გარდაიცვალა დავით სოსლანი და დასტოვა ორი შვილი—ვაჟი გიორგი-ლაშა, თხუთმეტის წლისა და ასული რუსუდანი, თოთხმეტის წლისა. თამარ მეფემ გიორგი ლაშა ამავე წელს აკურთხებინა მეფედა და თანაზიარი გაიხადა სახელმწიფო საქმეებში.

როგორცა ვთქვით, ქართველთა ძლევამოსილებამ თითქმის ყველა მეზობელი სახელმწიფოები აიძულა საქართველოსთვის მოკრძალებით ეცქირათ. მაგრამ მეზობლებში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ვერ შერიგებოდნენ საქართველოს ასეთს ამაღლებასა და სიძულვილით დაბრმავებულნი მზად იყვნენ ვნება მოეტანათ მისთვის, თუ დრო და შემთხვევა ხელს შეუწყობდათ. ასეთის გრძნობით აიხსნება არდებილის სულთნის თავხედი საქციელი. 1208 წ. ეს სულთანი მოულოდნელად შემოვიდა საქართველოს საზღვრებში, ზედ აღდგომა ღამეს დაეცა ანის ქალაქს, აიღო იგი, აიკლო და დიდის ალაფით დატვირთული სწრაფად გაბრუნდა უკან. ადვილი წარმოსა-

დგენია, რა საწყენიც იქნებოდა ქართველებისათვის არდებილის სულთნის ასეთი თავხედობა. მთავრობამ გარდასწყვიტა სამაგიეროს გადახდა. ამირ-სპასალარის ზაქარია მხარგრძელის წინამძღოლობით ქართველებმა გაილაშქრეს და მოულოდნელად დაესხნენ არდებილის ქალაქს მუსულმანთა დღესასწაულის აიდის წინა ღამეს. არდებილელებს ახლა ისეთივე დღე დაადგათ, რაც ანელებს მათგან.

გარდა იმისა, რომ მტრების დამარცხება და უცხო ქვეყნების დაპყრობა საჭირო იყო საქართველოს პოლიტიკურ ძლიერების დამყარებისათვის, სასარგებლოც იყო კერძოდ ლაშქრისა და მის წინამძღოლთათვის იმითი, რომ ალაფის ნაწილი მათი იყო. რაც უფრო ხშირი იყო ლაშქრობა, მით უფრო ბევრსა შოულობდნენ ძლევა-მოსილი მეომრები და მათი წინამძღოლები. ამიტომაც გასაკვირველი არ არის, რომ პირადის ინტერესებით აღძრული და თავის ძალ-ღონის მოიმედე ლაშქარი ნატრობდა და თხოულობდა ლაშქრობას მაშინაც-კი, როცა ეს საჭირო არ იყო თვით ქვეყნის პოლიტიკურ ძლიერებისათვის. ასე მოხდა 1210 წელს, როდესაც ჯარის წინამძღოლებმა სთხოვეს თამარ მეფეს, ნება მიეცა გაელაშქრათ მთელს სპარსეთზედ. მართალია, ამ ლაშქრობის საჭიროებას სახელმწიფოს გაძლიერებით ასაბუთებდნენ: განიცდიან სპარსელები და შეიგნებენ, რა ძალა აქვთ ქართველებსაო, მაგრამ უფრო ნამდვილი მიზეზი ალაფის შოვნის სურვილი იყო. თამარ მეფემ ჯარის წინამძღოლთა თხოვნის განხილვა დიდებულთა კრებულს მიანდო. ყველამ მოიწონა სპარსეთში გალაშქრების განზრახვა, დაადგინეს კიდეც შეესრულებინათ. ზაქარია ამირ-სპასალარის მხარგრძელის წინამძღოლობით ქართველთა დიდი ჯარი სპარსეთში შევიდა და მთლად გაიარა ეს ქვეყანა იმ გზით, რომელზედაც მდებარეობენ ქალაქები: მარანდი, თავრიზი, მანა, ზანგანი, ყაზმინი, რომგვარი და გურგანი. იმ ქალაქებმა ზოგმა უომრად, ზოგმა წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ მორჩილება გამოუცხადეს და მისცეს ხარკი ქართველებს. ჯარს უფრო შორს უნდოდა წასვლა, მა-

გრამ რადგანაც დიდი ალაფი იშოვა, მეტად ძნელი იყო მისი თან ტარება, ამიტომ უკან გამობრუნდა. გურგანიდგან ქართველები დაუბრკოლებლივ დაბრუნდნენ საქართველოში იმავე გზით, რომლითაც გაიარეს. ეჭვი არ არის, ეს ლაშქრობა მჭევრმეტყველურად ჰლაღადებს, თუ რამდენად ძლიერი იყო თამარ მეფის დროინდელი საქართველო პოლიტიკურად.

პოლიტიკურმა ძლიერებამა და ხალხში დატრიალებულმა სიმდიდრემ კულტურულად ააღორძინა საქართველო. აჰყვავდა ვაჭრობა, მეურნეობა, ხელოსნობა. გამდიდრებული სახელმწიფო ხაზინა სიმდიდრეს გზებისა და ხიდების აშენებაზედ, არხებისა და რუების გაყვანაზედ, საყდარ-მონასტრებისა და ციხე-სიმაგრეების აგებაზედ, სასწავლებლების გამართვაზედ, საავადმყოფოებისა და სამადლო სახლების დაარსებაზედ ხმარობდა. ქართულმა ლიტერატურამაც უმაღლეს ხარისხამდე მიაღწია. საუკეთესო წარმომადგენელი ძველის საერო მწერლობისა უკვდავი შოთა რუსთაველიც სწორედ ამ დროსა სცხოვრობდა. მას მხარს უმშვენებდნენ ჩახრუხაძე და სარგის თმოგველი.

1213 წ. გარდაიცვალა თამარ მეფე, რომლის ხსოვნაც დღესაც უკვდავია ქართველს ერში, არა მარტო იმიტომ, რომ მისს მეფობაში გაძლიერდა საქართველო, არამედ იმიტომაც, რომ პირადად მეტად კეთილი და სათნოიანი ადამიანი იყო. მისს კეთილს გულს ხალხი უსაზღვროდ უყვარდა და არაფერი ჰშურდა ღარიბ-ღატაკთა და ობოლთა ბედის შესამსუბუქებლად. მთელს თავის სიმდიდრეს თამარი ქველმოქმედებასა და საქვეყნო საქმეებს ახმარებდა, თვითონ-კი ცხოვრობდა უბრალოდ და ქრისტიანულად. მისს ულანკო გულს არ უდგებოდა არავითარი გავლენა ინტრიგისა, მლიქვნელობისა და პირადობისა. სახელმწიფო საქმეებში იგი ხელმძღვანელობდა მხოლოდ ქვეყნის სარგებლობითა და სურვილით. ამ ღირსებათათვის საქართველოს ეკკლესიამ თამარი ნეტართა შორის ჩარიცხა და მის ხსოვნის დღედ 1 მაისი დაადგინა.

**დ. კარიჭაშვილი.**

## თუშების გარდმოცემა.

ერთხელ თურმე მეფე ერეკლე ეწვია სპარსეთის ყაენს. ყაენის ბრძანებით თუშებს მიეცათ დასაკლავად ხარი. მიიყვანეს ხარი თუ არა, იძრო ერთმა თუშმა ხმალი, შემოჰკრა და ; გდებინა ხარს თავი. გაატყავეს ხარი, გამოშიგნეს, ამოიღეს ღვიძლი და უმის ჭამა დაიწყეს. თათრები განცვიფრებით უყურებდნენ თუშებს. დაინახა სასახლიდგან ყაენმაც და განცვიფრებულმა ჰკითხა ერეკლეს: „ეგ რა ხალხი გყავს, რომ ნადირივით უმს ხორცსა სჭამენო“. “თუშები არიანო“, მიუგო ერეკლემ. „ბევრნი არიანო“? „გამოვა ათი ათასი მეომარიო“.

გავიდა დრო. ერეკლეს მოუხდა ომი ყაენთან. ბრძოლის დროს თათრებმა იცნეს თუშები თუ არა—დაიძახეს: არიქათ, კაცის მჭამელები დაგვერივნენო.

## ალექსანდრე მაკედონელი და ფილოსოფოსი.

ერთხელ ალექსანდრე მაკედონელმა სეირნობის დროს შეჰნიშნა, რომ ვილაც კაცი მიდიოდა მისკენ.

— ვინ არის ის კაცი, ჩემსკენ რომ მოდის?—იკითხა ალექსანდრემ.

— ფილოსოფოსი ანაქსიმენი გახლავს, შენი მასწავლებელი. —უპასუხეს მეფეს.

— ღმერთსა ვფიცავ, არ შევუსრულებ თხოვნას, ფიცი რაც უნდა ჩემგან.—წამოიძახა გაჯავრებულმა მეფემ.

ანაქსიმენმა გაიგონა ეს სიტყვები და მოახსენა მას:

— მეფევ! შენ გაჯავრებული ხარ ჩვენს სოფლელებზედ, რადგან დარიოსის მხარეზედ გადავიდნენ, როდესაც შენ მას ეომებოდი. ამიტომ გთხოვ, ააოხრო ის სოფელი. შენი უკმაყოფილება უმიზეზოდ არ არის გამოწვეული.

ალექსანდრე გააკვირვა ფილოსოფოსის მოხერხებულებამ; აღარ გასტეხა ფიცი და სოფელს არა დაუშავა-რა.

დიმ. დეკანოზიშვილი.

## ჭეშმარიტი გამარჯვება.

(თარგმანი)

ერთმა თავადმა გაცხარებულს ბრძოლაში საშინლად დაამარცხა მოწინააღმდეგე და წაართვა მას ნახევარი ადგილებისა. გამარჯვების ხმამ თავადის დედ-მამამდისაც მიაღწია. დედას გაეხარდა შვილის გამარჯვება, მაგრამ როდესაც შვილისგან დაწვრილებითი ცნობა მიიღო, თუ როგორ ააოხრა იმათი მინდვრები და ქონება ლ დაამარცხა მამა-პაპეული მტერი, დედამ შემდეგი მისწერა: „შენი გამარჯვება სრულებით არ მიხარიან. მტრების დამარცხება კი შეგიძლიან, მაგრამ შენი თავისა კი არა. გამარჯვება თავის თავზედ, აი ნამდვილი ჭეშმარიტი გამარჯვება!“

## ვარსკვლავების რიცხვი.

ვარსკვლავთმრიცხველის პროფესორ ნიუკომბის გამოანგარიშებით სამყაროში დაახლოვებით 125 მილიონი ვარსკვლავი უნდა იყოს. ამ მეცნიერის გამოკვლევით ყველა ვარს-

კვლავები მოთავსებულია ისეთ ვეებერთელა ბურთში, რომლის რადიუსი 200 მილიონჯერ მეტია იმ მანძილზედ, რომელიც მზისა და დედამიწის შუა არის. თუ სინათლე წუთში 300000 კილომეტრ მანძილს გაივლის, დედამიწას რომ მოალწიოს დასჭირდება 3,300 წელი.

რომ ვარსკვლავთ სამეფო უსაზღვრო იყოს და ვარსკვლავები სამყაროს სივრცეში თანასწორად იყოს გაფანტული, მაშინ ნიუკომბის აზრით ცა ერთ სხივის ზეწარს უნდა წარმოადგენდეს, რადგან სინათლის დაკარგვა უკვალოდ შეუძლებელია, რაც უნდა დიდ-ხანს იმგზავროს მან სამყაროს სივრცეში.




| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ა | | |
| | ა | ა | ი | |
| ი | კ | კ | კ | კ |
| | ო | ო | რ | |
| | | უ | | |

ეს ასოები ისე გადასხით უჯრებში, რომ, ზემოდან წაიკითხავთ, თუ გვერდიდან, ერთი და იგივე სიტყვები გამოვიდეს.

| | | | |
|---|---|---|---|
| ა | ა | ა | ბ |
| ბ | ბ | ი | ი |
| ლ | ო | ო | ო |
| ო | ტ | ტ | შ |

ეს ასოები ისე გადასხით უჯრებში, რომ, ზემოდან წაიკითხავთ, თუ გვერდიდან, ერთი და იგივე სიტყვები გამოვიდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(წარმოდგენილი დ. ნ—შვილისაგან).

1) სადილი სადა ვჭამოთო?
— რეგვენთანაო.
— ვახშამი?
— თუ ვერ გაგვიგო, ისაც იმასთანაო.

—

2) კარგისა ძვირად სყიდვა სჯობს
ზედ გამოღება სართისა.

—

3) მოვიდა ძალაო,
სამართალი დაიმალაო.

—

4) ვირი დაბერდა,
თოხარიკობა დაიწყო.

—

5) ბატონობას რა დიდი სარგებელი უნდა: სჯდოდე და სთქოდეო...

—

6) რომ მცოდნოდა, რომ მგელი ციდან მოვიდოდა, მყეფარს გულალმა დავაწვენდიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**იანვრის 1-ლ ნომერში მოთავსებულ**

## რებუსის ახსნა:

მიყვარს მე კალთა დედისა, ჩემი გამზრდელი აკვანი.
მიყვარს და გულს ვერ შემიცვლის, მტრის რისხვა, მწარე ტანჯვები;
იმედს დამძახის ამირან, კლდეს მიკრულ-მინაჯაჭვები...
მიყვარს სამშობლო რუსთველის და თამარ ქვეყნის მნათისა,
აკვანი მეფე ერეკლეს და გმირი კახაბერისა.

## მარცვლების ამოცანის ახსნა:

კა+ლა, ლო+მი კა+ლო, ლა+მი.

## გამოცანების ახსნა:

1) მაკრატელი, 2) ნამყენი, 3) თოფი, 4) ირმის რქა, 5) წისქვილი.

## შარადების ახსნა:

1) ოლა—ალო—კოლა—სკოლა. 2) (ხა, ხა, ხა!)=ხა+(ჭაჭა) ჭა+პური=ხაჭაპური. 3) ფურცელი. 4) ჭაობი.


Г. Н. Т.

სიცოცხლეს ატარებს მდინარის წყალში. მიუხედავად ამისა, ის მხოლოდ ზღვაში სუქდება.

უწინდელ დროში ორაგულის დაჭერა შემთხვევაზე იყო. არავინ დროს არ არჩევდა, ოღონდ კი დაეჭირათ. ახლა კი უფრო გონიერი ნადირობა შემოდის რაკი იციან, რომ ორაგული მდინარეს ზევით-ზევით უნდა აყვეს, ამიტომ თუ მდინარეში სადმე არის სათავნები, გადაგუბული ადგილები, რომელიც ხელს უშლის თევზის ზევით წასვლას, მგზავრობის გასაადვილებლად, აკიბვენ იმ ადგილებს და ამ კიბეზე ორაგული ადვილად ადის. მერე ორაგულს შერეკენ შემოზღუდულ გუბეებში და აქ ადვილად იჭერენ. ორაგულები მეტად ბევრია იმ მდინარეებში, რომელნიც ერთვიან ჩრდილოეთის ზღვებს, ესე იგი ნორვეგიის, შვეციის და ჰოლანდიისას. ორაგულს სჭამენ ნედლს, დაშაშხულს, გამხმარს და საზოგადოდ ათასნაირად ინახვენ. აი კიდევ მეორე თევზი, რომელსაც ჩვეულებად აქვს დიდი მდინარეების ზევით აყოლა. ეს არის ზუთხი. უმეტესად ეს თევზი ეტანება კასპიის და შავ ზღვაში ჩამოსულ მდინარეებს. ერთ მოდგმას ამ თევზისას იჭერენ მისი გემრიელი ხორცის გამო. ზუთხიც იძლევა ქაviარითს, რომელიც ხიზილალად შემზადებული ჩვენში ძალიან უყვართ. არ იკარგება უსარგებლოდ მისი საცურავი ბუშტიც, რომელსაც გამხმარს ვაჭრობაში ეძახიან თევზის წებოს. გეცოდინებათ, რომ საცურავი ბუშტი არის ჰაერით გატენილი ერთგვარი პარკი. ეს ბუშტი თითქმის ყოველი მდინარის თევზს აქვს. საცურავი ბუშტი შველის თევზს წყალში ზევით და ქვევით აწევ-დაწევას. თუ თევზს უნდა ქვევით, სილრმეში დაეჭანოს, მაშინ საცურავი ბუშტი შეიკუმშება, თევზიც დამძიმდება და ქვევით ჩაიწევს. როცა ბუშტი გაიწევს, მაშინ ჰაერიც უფრო გათხელდება და თევზი ზევით აიწევს.

ზღვის თევზს ადამიანის გამოკვებაში გაცილებით უფრო დიდი ადგილი უჭირავს, ვიდრე მდინარისას. ზღვის თევზებში პირველ ადგილზეა ქაშაპა. ყოველ წელიწადს შუა ზღვიდგან გამოდის ქაშაპის ჯოგი, რომელიც გაგრძელებულია რამდენი-

მე ასს ვერსტზე. ეს ურიცხვი მილიონოაგან შემდგარი ქარავანი უახლოვდება მდინარეს ქვირითის დასაყრელად. ყველაზე უწინ ქაშაპი გამოჩნდება შოტლანდიის ჩრდილოეთ მხარეს მერე ინგლისის ნაპირებს, ცოტა ხნის შემდეგ საფრანგეთისაზე. ამ მოვლენამ ბევრს აფიქრებინა, რომ ქაშაპები მილიონობით გადმოსახლდებიან ხოლმე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. მაგრამ ამისთანა მოსაზრება არ გამართლდა შოტლანდიის და საფრანგეთის ნაპირებისაკენ მიმცურავი ქაშაპები სულ სხვა და სხვა დამოუკიდებელ ქარავნებს შეადგენენ. ისინი შვა ზღვიდან მიემგზავრებიან ნაპირებისაკენ. ქაშაპების გამოჩენა ნამდვილი დღესასწაულია მეთევზეებისათვის. ისინი იმავ წუთში დაამზადებენ თავის ნავებს და გაემგზავრებიან ძვირფასი სტუმრის შესახვედრად. გადაუდგამენ ყირაზე ჩაშვებულ ბადეს და ამოყრიან უთვალავ თევზს. ამოღებულ თევზს მაშინვე გამოშიგნავენ და ჩააწყობენ ფენ-ფენათ კასრებში. ყოველ ფენას მოაყრიან მარილს. ამ ნაირად მომზადებულ ქაშაპს სჭამენ როგორც ნედლად ისე გამხმარს. ქაშაპს რუსეთშიაც ამზადებენ, მაგრამ სახსენებლადაც არ ღირს ჰოლანდიის ქაშაპებთან შედარებით.

ბადის ამოღების და ქაშაპის დაწმენდის დროს მეთევზეებს დასდევს ათასგვარი ზღვის ფრინველი. გუნდ-გუნდად დატრიალებენ მათს ნავებს და ნაპირს, ყვირიან, ცხვირ წინ უვლიან მეთევზეებს, ასე რომ ხშირად ფრთებსაც ჩამოკრავენ და თითქმის ხელიდან სტაცებენ თევზს.

მაგრამ რა სახსენებელია ეს ფრინველები იმ მტაცებლებთან შედარებით, რომელნიც აჰყვებიან ხოლმე ქაშაპის ქარავანს და უთვალავს მათგანს უსპობენ სიცოცხლეს. ესენია დიდი თევზები და დელფინები. მათ გამხეცებულ ნადირობას რომ უყურო, გაოცდები,—როგორღა რჩება ცოცხალი ქაშაპები და აქამდის არ მოისპო მათი ხსენებაო. საბედნიეროდ, თითო დედალ ქაშაპს აქვს ორმოცდაათ ათასამდე კვერცხი.

სარდინური, ახლო ნათესავია ქაშაპისა. იმას იჭერენ ატლანტის ოკეანსა და ხმელთა შუა ზღვაში თითქმის იმავე რი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გით და წესით, როგორც ქაშაპებს მხოლოდ გაცილებით უფრო ნაკლებს.

ჩრდილოეთის თითქმის ყველა მცხოვრებნი ბალტიკეთ ტრესკით· თეთრის ზღვის ახლო მდებარე სოფლები, ზამთარში ძროხებს ჰკვებავენ ამ თევზით; იქ მინდვრები არ არის და მაშასადამე თივაც არსად იშოვება. ყოველ წელს ათასობით მიეშურებიან ფრანგები, ინგლისელები, ჰოლანდიელები, დანიელები და ამერიკელები ტსერკის დასაჭერად. ისინი მოდიან ირლანდიის არე მარესა და ნიუფანდლენდის ჩქერზე, სადაც ეს თევზი უთვალავია. ფრანგმა ზღვაოსნებმა 1870 წელს დაიჭირეს აქ $2^1/_4$ მილიონი ფუთი ტრესკა. ტრესკა იძლევა არა მარტო ხორცს, რომელსაც ან აშარილებენ, ან ახმობენ, არამედ ქონსაც, რომელსაც ჩვენ ვეძახით თევზის ქონს. ეს ქონი კეთდება ამ თევზის ღვიძლიდან. ექიმები უნიშვნენ ავადმყოფებს ზოგიერთს შემთხვევაში ამ ქონს. აი ჩვენ რომ ჩამოვთვალეთ, ეს თევზებია, რომელთა დასაჭერად ყველაზე უფრო დიდძალი ხალხი იკრიბება, მაგრამ ხალხისთვის არა მარტო ამ თევზებს აქვთ მნიშვნელობა. სხვა თევზსაც ბევრს იჭერენ ვინ ბადით, ვინ ფაცრებით, ჭვილთით და ანკესით. ეს თევზები ცხოვრობენ ჩვენ მდინარეებში, ტბებში და მათ იჭერენ გაზაფხულზედაც, ზაფხულშიც, შემოდგომასა და ზამთარშიც.

ასეთია ჭანარი, ლორჯო, რომელსაც უყვარს ლამიანი გუბეები და კიდევ უფრო პრტყელი და გემრიელი კაპარჭინა და ნაფოტა თევზი, კობრი. ყველა ეს თევზები იკვებებიან სახსროვან მატლებით, ან წყლის მცენარეებით. არის კიდევ ბევრი მტაცებელი თევზები. რომელნიც თავს ირჩენენ წვრილი თევზებით. მათში პირველი ადგილი ეკუთვნის კბილა თევზს ანუ მწერს, ქარულაპიას, მერე ფარგას და ფრთა წითელ, ზოლებიან მარდ ქორჩილას. მათ უნდა დავუმატოთ პატარა, მაგრამ გემრიელი ბუძგიანი ჭიჭყინა თევზი. თევზებს გარდა იჭერენ აგრეთვე კიბო მაგვართა: ცხრაფეხას, ომარს, ლოგუსტს და ჩვეულებრივ კიბოს, მაგრამ იმათ პალხის გამოკვებაში შესამჩნევი

ადგილი არ უჭირავთ, ასე რომ მარტო გასტრონომებს თუ ინტერესებენ

იგივე შეიძლება, ვთქვათ რბილ-ტანიან მოლუსკებზე, ანუ ლოქორიებზე, უ^ალო მიწის ლოკოკინასგან დაწყებული ურიცხვ მისი მოდგმებით ერთად, რომელთაც ხმარობენ საქმელად ყოველ ზღვის ნაპირის ქალაქებში. ლოკოკინებში ყველაზე უფრო საყურადღებო არის ოსტრია. ეს არის ორ-ჯამიანი ლოკოკინა. ცხოვრობს უბნებად, კოლონიებად წყალში დამალულ კლდეებზე მიკრული. ოსტრია წლის განმავლობაში განსაზღვრულ დროს მი-ღებს ^ძის ფერს. ეს იმიტომ რომ ოსტრიას შიგნით უვითარდება ურიცხვი პატარა შვილები, რომელნიც შემდეგ გაემგზავრებიან ახლო-მახლო მდებარე კლდეზე მისაწებებლად. ბევრი მათგანი ამ დროს იღუპება, რაც, რა საკვირველია, ოსტრიას მჭამელთათვის არაფერი საზიანოვნოა. ასეთი მოვლენის ასაცდენად გამოიგონეს ხელოვნური საოსტრიე. აქ შეკრებენ კრამინტებზე პატარა ოსტრიებს და ზრდიან. ეს საქმე დიდ სარგებელს იძლევა. ყველაზე უფრო შესანიშნავი საოსტრიე იმყოფება არკაშინის აუზში საფრანგეთის ქალაქის ბორდოს ახლო.

შორეულ აღმოსავლეთში ჩინელები და მალაელები სჭამენ ძლიერ ბევრ, პატარა ცხოველს, რომელიც წააგავს შავ ჭიას და ცხოვრობს ოკეანეში პოლინეზიის კუნძულების ახლო-მახლო. ესაა ტრეპანგი—ზღვის გოლოტურია. ამ ცხოველს ხარშავენ, ახმობენ მზეზე, ცეცხლზე და უთვალავი მიაქვთ ჩინეთში და მალაის ნაპირებზე. ახლა უნდა შევჩერდეთ. დავკმაყოფილდეთ ნათქვამით საჭმელ ცხოველების შესახებ. გავიხსენოთ ის ცხოველებიც, რომელთაც ჩვენთვის სხვა სარგებლობა მოაქვთ. ისინი ჩვენ არ გვკვებავენ, მაგრამ ტანთ გვაცმევენ. ესენია ბეწვიანი ცხოველები.

ცხადია, რომ ეს ცხოველები ჩრდილოეთის ბინადრები უნდა იყვნენ, სადაც ცხოველის აუცილებლად უნდა ჰქონდეს იქაურ სიცივესთან საბრძოლველად ან ბეწვიანი ქურქი ან და ტყავს ქვეშ ქონის კარგი სქელი ფენა, ბეწვიანი ცხოველი ან

ხორცის მჭამელი და მტაცებელია, როგორც კვერნა, სამური, ყარყუმი დათვი, დედოფალას სხვა და სხვა ჯიში ან და მღრღნელი, როგორიც არის სამხრეთ ამერიკის შინმილა, ან კიდევ კამჩატკის თახვი. ჩრდილოეთისკენ ბევრია მელია. ყველა ქვეყნებზე მეტს ბეწვიან ცხოველების ტყავს იძლევა ჩრდილო ამერიკა

გადავიდეთ ბეჩავ სელაპზე, რომელსაც მთელ ჯოგებად ჩოცვენ კეტებით ზღვის ნაპირებზე და ყინულებზე. და ამას-

სელაპებზე ნადირობა.

თან, რასაკვირველია, მონადირეები სრულიად არ ფიქრობენ იმაზე, რომ ცხოველები სულ არ ამოხოცონ და შემდეგ წლებისთვის დატოვონ მოსაშენებლად მაინც. 1870 წელს შოტლანდიის მონადირეებმა დახოცეს 90,000 სელაპი, 1872 წელს კი მხოლოდ 70,000 იშოვნეს; ალბად ასევე თან და თან იკ-

ლებს მათი რიცხვი შემდეგშიც. ყოველ საქმეში საჭიროა წინ დახედულობა, საჭიროა კაცმა თავისი გაუმაძღრობა აღაგმოს და მომავალის სიკეთეები აწმყოს არ ანაცვალოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავასახელოთ კიდევ ორიოდე ცხოველი, რომელიც გამოსადეგია ჩვენთვის არა მარტო ტყავით, მატყლითაც, რომლისაგან ამზადებენ ძვირფასს ქსოვილებს. ასეთია ვიგონი და მისი ნათესავი ალპაკა, ანუ გარეული ლამა, რომელიც ცხოვრობს ამერიკის მაღალ მთებზე, კორდილიერზე. მხოლოდ საჭიროა ვიცოდეთ, რომ ეს ცხოველები მეტად ძვირფასია და საფუფუნო. შინაური ძუძოსანნი—თხა და ცხვარი ამ მხრით სრულიად აკმაყოფილებენ ჩვენ მოთხოვნილებას.

მით უფრო გაბედვით შეგვიძლიან ჩვენ ვუწოდოთ საფუფუნო საგანი იმ ფრთებს, რომლითაც ქალებს მორთული აქვთ შლიაპები. ასეთია სირაქლემას, სამოთხის ფრინველის და თითქმის ყველა ფერადი ფრინველების ფრთები.

იგივე შეგვიძლიან ვთქვათ პატარა რბილ ბუმბულის—ღინღლის შესახებ, რომლითაც სტენენ ნალებს, ბალიშებს და სხვას. საუკეთესო ღინღლი არის გაგის ღინღლი. გაგა არის ერთი ჯიშის იხვი, რომელიც ჩრდილოეთში ძლიერ გამრავლებულია.

უფრო მეტი ყურადღების ღირსია სპილოს ძვალი, რომელსაც გვაძლევს სპილოს და ჰიპოპოტამის ეშვები. ამ ძვალს შოულობენ ან მოშინაურებულ სპილოებისაგან სიკვდილის შემდეგ ან და გარეული სპილოსაგან, რომელზედაც ამ მიზნისთვის ნადირობენ ინდოეთსა და აფრიკაში. მართალია, ასეთი ნადირობა წარმტაცია, მაგრამ მასთან მეტად საშიში და საფრთხილო არის. ყოველ წლივ იმდენი საღდება სპილოს ძვალი, რომ ამისთვის ხოცვენ თორმეტიდან ხუთმეტ ათასამდე სპილოს.

კუს ფარისაგან აკეთებენ სხვა და სხვა ნივთებს, უმეტესად ერთგვარი ზღვის ზორბა კუსას, რომელსაც ჰქვიან კრამინტ მაგვარი ფარიანი კუ ანუ კასეტტა. საქმეში გამოსადეგი არის ფარის მარტო ზემო ფენა. ეს ერთგვარი მეტად მაგარი და

გამქვიოვალე ტყავია, რომელიც გადაფარებული აქვს ამ ახირებულ ქვემძრომს ფარზე.

რბილტანიანი ცხოველები ერთ ან ორ ხამანწკიანი იძლევიან საკაზმავ საგანს—სადაფს. სადაფს უჭირავს ხამანწკის შიგნითა მხარე, ესე იგი ის მხარე, რომელიც ცხოველის სხეულს ეხება. თქვენ გეცოდინებათ, რომ სადაფისაგან აკეთებენ ათასგვარ ლამაზ ნივთებს. ერთგვარი ნიჟარა იძლევა მარგალიტის თვალს. ამიტომ ამ ნიჟარას მემარგალიტე ჰქვიან. მემარგალიტეს სადაფი მმრგვალ ოთკუთხიანია, მოჭწვანო ნაცრისფერისა თეთრი ზოლებით. 'მიგნით თეთრი ფერისაა და აქა-იქ გამოსცემს ცისარტყელას ფერებს. ხამანწკას შიგნით პოულობენ მარგალიტის მარცვლებს, რომელნიც სხვა და სხვა სიდიდისა არიან. ეს მარგალიტები მიმაგრებული არიან შიგნიდან ხამანწკაზე. მარგალიტი, როგორც თვითონ ხამანწკაც, შემდგარია თითქმის წმინდა ნახშირმჟავიან კირისაგან, რომელსაც ურევია ორგანიული ნივთიერებანი. მარგალიტი ჩნდება ლოქორიის ტყავისაგან. მხოლოდ ამისათვის საჭიროა, რომ ეს ტყავი გავალიზიანოთ რაიმე ნივთიერებით, მაგალ., ქვიშის ნამცეცით. ერთმა მეცნიერმა შეისწავლა მდინარის წყალში მცხოვრები მემარგალიტე და აი რა აღმოაჩინა. წყალში ცხოვრობს ერთი პაწაწა ობობა. ამ წყლის ობობას არ უყვარს მიმდინარე წყალი. იშვიათად, თითქმის არა დროს არ ამოდის ეს ობობა წყლის ზედა პირზე. პირიქით ის დროს ატარებს ლამიან ფსკერზე. ხშირად სხვა და სხვა ლოკოკინებს შეეპარება ხოლმე მათ შენობაში, სხვათა შორის მემარგალიტესაც და მათს კანში სდებს კვერცხებს. ლოქორიის ტანში მომწყვდეული კვერცხები იწყებენ განვითარებას და ბოლოს მივიღებთ ექვს ფეხა ობობას. ეს განვითარება სწარმოებს მოკლე ხანში: ათი დღის განმავლობაში ექვს ფეხა ობობა გამოხეთქს თავის კვერცხის კანს, გამოდის გარეთ და იწყებს ხეტიალს. ცოტა ხანს

მემარგალიტე ნიჟარა.

შემდეგ ის ხელმეორეთ შეეპარება მეორე ლოქორიას მოსასხამში, იქ მიეკვრება, იცვლის კანს და გამოვა რვა ფეხა ობობა, რომელსაც უკვე შეუძლიან გამრავლება. როცა გამოსული ობობა მიატოვებს ლოქორიის მოსასხამში კვერცხის ღენჭს და იმ პარკსაც, რომელშიაც მან კანი იცვალა, ეს ღენჭო და პარკი ნელ-ნელა იწყებენ კირით დაფარვას. ესაა მომავალი მარგალიტის საფუძველი. ხანდისხან მინერალური ნივთიერება ისე სწრაფად ვამოიცემის ცხოველისაგან, რომ ობობა ველარ მოასწრებს თავის კვერცხიდან გამოსვლას, ზევიდან გადაეფარება კირის ფენა და ობობაც განისვენებს თავის ბრწყინვალე აკვანში.

საუკეთესო მარგალიტს შოულობენ ზღვის ლოკოკინასაგან, რომელიც ცხოვრობს ინდოეთის ზღვაში. ამ ლოკოკინებს იჭერენ მყვინთავები. მყვინთავი წელზე შემოიხვევს თოკს, ფეხებზე ჩამოიკიდებს რამე სიმძიმეს და გადაეშვება ზღვაში 60 ან 70 საჟენის სიღრმეზე. იქ წყალში რჩება ერთს ან ორ წუთს, მოაგლეჯს კლდეებს მემარგალიტეს ხამანწკებს, რამდენსაც კი მოასწრებს. შემდეგ, როცა სული შეეკუმება, სუნთქვა გაუძნელდება, ჩამოსწევს საბელს. მაშინ აითრევენ ზეკით. სწორედ მეტად მძიმე მუშაობაა მარგალიტის ძებნა, ისეთი მუშაობა, რომელიც ხშირად მოუსწრაფავს სიცოცხლეს მყვინთავს. მაგრამ ვის ახსოვს ამ უბედური ადამიანის ბედი? ერთხელაც მაინც მოაგონდებოდეთ მდიდარ მანდილოსნებს, რომ მათი დაბამშვენებელი მარგალიტი, ვინ იცის, ადამიანს მთელ სიცოცხლედ დაუჯდა.

მარჯანი.

დიდ თანხას, 4,000000*) ფრანკს იძლევა წლიურად ზღვის მეორე ცხოველი, რომელიც მარგალიტსავით ძვირფასი სამკაულისთვის იხმარება. ესაა წითელი მარჯანი. მარჯანი ბევრია წითელ ზღვაში, აგრეთვე ხმელთა შვა ზღვაში ჩრდილო აფრიკის და სამხრეთ იტალიის ნაპირებთან. ის იზრდება პატარა ხეებისა, ანუ ბუჩქებსავით. მარჯანის ბუჩქები გამაგრებულია კლდეებზე, რომელნიც წყალში რამდენიმე ათი საჟენის სიღრმეზე არიან. წითელი კირის ნივთიერების ღერძი—ჩონჩხია, გარედან ახვევია მასავით წითელი ფერის ხავერდივით რბილი და მეტად ნაზი ქერქი. ამ ხავერდ მაგვარ წითელ ქერქზე მოფენილია უთვალავი მეტად პაწაწა თეთრი ვარსკვლავები ანუ ყვავილები. სწორედ ეს ყვავილებია ნამდვილი ცხოველები. ამ პოლიპთათვის ჩონჩხი იგივეა, რაც ხისთვის ტანი და ტოტები. აი ეს ლამაზი ჩონჩხია სწორედ საკმაზავი საგანი. მისთვისაა, რომ ყოველ წლობით სამხრეთ იტალიის და საფრანგეთის ნაპირებიდგან მიემგზავრება რამდენიმე ათასი ხომალდი. მარჯანს იღებენ ზღვის ფსკერიდან პატარა ანკესით და თოკის შემწეობით, რომელთაც ჩამოაცმენ ბურეჟყზე. ამისთანა ბურეჟყს ჩაუშვებენ ზღვაში გრძელი საბელით და მერე ამ საბელს დაახვევენ ღერძზე, რომელსაც აბრუნებს რამდენიმე მუშა. ამ საქმეზე მუშაობა აფრიკის სიცხე-პაპანაქებაში თვითონ კატორგას არაფრ თ ჩამო ჩება. სწორედ ესეცაა. ბევრი მუშა დღიური ლუკმის შოვნისთვის თავგანწირული განუტევებს სულს აქ, შორს, თავის სამშობლოს მოწყვეტილი.

ისევე საშიშია ადამიანის სიცოცხლისათვის მეორე ზღვის ცხოველის—ღრუბელის შოვნა. ღრუბელი ცხოვრობს ხმელთა შვა ზღვაში. ესაა ერთგვარი დაბალი აგებულობის ცხოველი, უმოძრაოდ მიმაგრებული კლდეზე; სხეულში აქვს ურიცხვი სიფრი-

ღრუბელი.

*) ფრანკი=40 კაპ. დღევანდელი კურსით, ნორმალურად კი 25 კაპ.

ფანა, მაგრამ ღვენთქი ფშოლოები, რომელნიც მჭიდროდ არიან ერთმანეთში გადახლართული. ღრუბელს აშოგლეჯენ ზღვის ფსკერიდან, დაყრიან მზეზე. აქ ორგანიული, რბილი ნივთიერება ლპება და ამ ნაირად დაგვრჩება ჩონჩხი, ღრუბელი, რომელიც მეტად სასარგებლოა ოჯახში.

ადამიანისთვის სასარგებლო ცხოველებად ისინიც უნდა ჩავთვალოთ, რომელნიც გვაძლევენ ტანისამოსის და სხვა საგნების შესაღებ ნივთიერებას. ასეთია პურპურის მოლუსკი. ეს პატარა მოლუსკი ცხოვრობს ხმელთა შვა ზღვაში. დიდი ხანია მას შემდეგ, ფინიკიელები გამოვიდნენ აფრიკის ერთ უდაბურ ნაპირას. თან ძაღლი ჰყავდათ. ძაღლმა შეჭამა ერთი ასეთი მოლუსკი. შენიშნეს, რომ ძაღლს ტუჩი საღებავით გაეტყუპნა. აი ასე ამოაჩინეს პირველად პურპური, რომელსაც მეტად ძვირად აფასებდენ უწინდელი ბერძნები და რომაელები. მეორე საღებავის ცხოველი არის კოშენილი. ის იძლევა სქელ ალისფერ საღებავს. კოშენილი ერთგვარი ბაღლინჯოა ის ცხოვრობს სამხრეთის ქვეყნებში ერთ ახირებულ მცენარეზე, რომელსაც კაკტუსი ჰქვიან. ამ მცენარეს ფოთოლი როდი აქვს, მისი ტანი შემდგარია პატარ-პატარა მწვანე კვერებისაგან, რომელნიც ერთი მეორეს მისწებებია. კვერები დაფარულია აქა-იქ შეგროვილი ბუძგებით. აი ამ კაკტუსზე ცხოვრობს კოშენილი. კოშენილი მაგრად ჩაეკვრის კაკტუსის ქერფა ყლორტებს და მის წვენს სწვრეტს. ცხოველი ნელნელა იზრდება, სქელდება და მშვენიერ წითელ ფერს მიიღებს. როცა კოშენილს შვილები გაუჩნდება, მას შეაგროვებენ და გააშრობენ გახურებულ ქურაში. კოშენილი ძლიერ ძვირია. მისგან ამზადებენ წითელ საღებავს, რომელიც გაცილებით სჯობია პურპურს, ამ უკანასკნელით კი ძველ დროში მეფეების მანტიებს ღებავდნენ. კოშენილისთვის კაკტუსს აშენებენ მინდვრებზე და დიდი სარგებელიც რჩებათ. საკმარისია მიწაში ჩაარჭოთ კაკტუსის მომტვრეული ტოტი, ის ადვილად გამოიღებს ფესვებს, კოშენილის გამრავლება კი ცოტა უფრო ძნელია. ახალ გაზრდა კოშენილებს შეინახავენ უჯრებში მაუ-

დის ჩვარში გამოხვეულთ, რომ სითბო არ მოაკლდეთ. როცა კაკტუსი საკმაოდ წამოიზრდება, ამისთანა ახალგაზრდა კოშენილიან ჩვარს ჩამოჰკიდებენ კაკტუსს ბუძგებზე. მეტი ზრუნვა აღარაა საჭირო. ისინი თვითონ მოაწყობენ თავიანთ საქმეს.

მექსიკაში კოშენილს ამრავლებს იქაური ხალხი, ასე რომ კოშენილი ნახევრად შინაური ცხოველია. ამას წინეთ ასეთმა კოშენილის ბაღებმა დაიცვა სიმშილისაგან კანარის კუნძულის მცხოვრებნი. უწინ ამ კუნძულზე გაშენებული იყო თვალ წარმტაცი ვენახები. აქაური ხალხი ისე გაამაყებული იყო ამ საქმით, რომ კოშენილის მომყვანთ ძალზე დასცინოდენ. მის თვალში მარტო მევენახეობა იყო სასარგებლო და მასთან პატიოსანი საქმე. მაგრამ უეცრად მათ ვენახებს ესტუმრა ენი; უხილავი სოკო მოედო ვენახებს და რამდენიმე წლის განმავლობაში სრულიად გაანადგურა, მაშინ ხალხმა ძალა უნებურად მიმართა ათვალისწუნებულ კაკტუსს მისი წითელი კოშენილით. ახლა ეს მცენარე გაცილებით მეტ შემოსავალს აძლევს, ვიდრე ვენახები.

შეგვიძლიან მოვიხსენიოთ აგრეთვე პატარა კრაკენი, რომელსაც სახელად ჰქვიან სეპია. ის აძლევს მხატვრებს, ქუფრს, თითქმის სრულიად შავ საღებავს, რომელსაც ეძახიან სეპიას. ცხოველ სეპის ერთი ჩვეულება აქვს. როცა მტერი თავს დაესხმის, ის გამოუშვებს თავის შავ საღებავს, აამღვრევს წყალს, თვითონ კი ისარგებლებს ამით და ამღვრეულ წყალში იმალება.

ზოგი ცხოველი იძლევა სურნელოვან ნივთიერებათ, რომელთაც ხმარობენ სასუნებელ სითხეთა მოსამზადებლად. ეს სურნელოვანი ნივთიერებანი უმზადდება ცხოველებს პატარა პარკებში, რომელნიც სხვა და სხვა ცხოველს სხვა და სხვა ადგილს და მოყვანილობის აქვს. პირველი ადგილი ამ ცხოველებში უჭირავს ჩრდილო ამერიკის თახვს. უკანა გასავალის ახლო მოთავსებული აქვს ორი პარკი, რომელიც გამოსცემს ქუფრს, სქელს, ძლიერ სუნიან სითხეს. ამ სითხეს თახვის

სითხე ჰქვიან. დავასახელოთ აგრეთვე აზიელი კაბარგა, რომელიც იძლევა მუსკუსს. აფრიკის და ინდოეთის ცხოველი ცივეტა, რომელიც გალიაში ჰყავთ იმ აზრით, რომ მუდამ გამორჩნენ ხოლმე სუნიანი ნივთიერება. ამ სურნელოვან გამოშაწვრეტს ძველ დროში ხმაროობდნენ. როგორც სამკურნალო საშვალებას, რა საკვირველია, თითქმის უნაყოფოდ. იგივე ითქმის აბრაზე. ეს სურნელოვანი ნივთიერება მზადდება კაშალოტის ნაწლავებში. კაშალოტი ვეშაპის მონათესავე ძუძუსანია. კაშალოტი სჭამს ბევრ კარაკატიცს, ამ ნაჭამის დანარჩენიდან რჩება ნაწლავებში ამბრა.

არის სხვა ცხოველები, რომელთაც ექიმობაში სარგებლობა მოაქვთ. ა ეთია ლამაზი შპანსკის ბუზი. ეს ბუზი უთვალავ-უანგარიშო შეესევა ზოგიერთ ბუჩქებს ყველაზე უფრო ჩიტა ვაშლას და იასამანს. ამ ბუზებს შეკრებენ, გაახმობენ, დაფხვნიან და დააყრიან წებოიან პლასტირს; შემდეგ პლასტირს დაავადმყოფებულ ადგილს დააკვრენ. მუშკი ისე გაახურებს იმ ადგილს, რომ როცა აიღებენ, იტყვით, სხეული დამწვარიაო. მეორე საექიმო ცხოველი, რომელიც ცხოვრობს მდინარის წყლებში, არის წურბელა. თქვენ, ალბად, შენიშნავდით, როგორ მოჰკიდეს წურბელა თქვენს ავადმყოფ ძმას ან ბიძა. ალბად, იმასაც დაინახავდით, რა გორ იზრდება თან და თან წვრილი მსხვილდება, გრძელდება, იტენება სისხლით, შავ ფერს მიიღებს და ბოლოს გაბერილი მოძვრება თავის ადგილას. იქ კი, სადაც მიმჯდარი იყო, დარჩება სამკუთხი ჭრილობა.

ახლა წურბელს იშვიათად ხმაროობენ. წურბელა სისხლს სწოვს ავადმყოფს, სისხლს ართმევს, სისხლის დაკარგვა კი კაცს ასუსტებს, ლონეს აკლებს. ძველ დროში კი ისე ხშირად მიმართავდენ წურბელს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში წყლებში გადაშენდა წურბელი, რადგან რაც იყო, სულ ყველა დაიჭირეს.

სარგებელის მომტანად უნდა ჩაითვალოს ის ცხოველიც, რომელიც სჭამს, ხოცავს ადამიანისთვის მავნე ცხოველებს.

ასეთია, მაგ., კატა, რომელიც იჭერს თაგვებს. ბევრი გარეული ცხოველი ამგვარსავე სასახურს გვიწევს, ესე იგი გვიხსნის სულ თუ არა, რაოდენადმე მაინც მავნე ცხოველებისაგან ასეთია. მაგალ., ოლოლი, ანუ ზარნაშო, და ბუ, რომელნიც მუსრს ავლებენ როგორც სახლის, ისე მინდვრის თაგვებს. თუმცა ისინი ასეთი სასარგებლო ფრინველებია მაგრა უმეცარ ხალხს არ ესმის მათი სარგებლობა და სდევნის მათ. საზოგადოდ უმეცარმა კაცმა იშვიათად იცის თავისი მეგობრების დაფასება. აგრეთვე სდევნის ის ისეთ სასარგებლო ცხოველებ, როგორიცაა ხვა და სხვა მწერის მჭამელნი, მაგალ, ზღარბი ლამურა, ფულუ. ეს უკანასკნელი ხშირად ამოაგუგულებს ბოსტანში მთელ გორაკებს მაგრამ თავის დღეში ფესვებს არ ერჩის. ის მხოლოდ ბოსტნეულობის მტრებს ეძებს მატლებს და ჭიებს. ასეთივეა მიწის თაგვი. უსაფუძვლოთ სდევნიან უშხამო და უვნებელ გველხოკერა და გომბიოს. თუმცა ეს უკანასნელი ლამაზი შესახედავი არაა, მაგრამ განა ეს საკმარისია, რომ ვსდევნოთ?

რა არის უმეცრება? ცხოველი გვემსახურება, ჩვენ კი ვემტერებით. გერმანიაში უწინ სდევნიდენ ჭილყვავს, ხორბალს სჭამ ო. ჭილყვავი ხორბალს კი არ სჭამს, ის ეძებს იმ ჭიებ, რომელთაც ბევრგან ამოაგდებს გუთანი და რომელნიც მეტად მავნეა ყანებისათვის. პატარა ბუმბულოსნებში ბევრია ჩვენი მინდვრების, ყანების და ტყის დამცველნი. პირველი საპატიო ადგილი მათ შორის უჭირავს შოშიას. შოშიას გუნდი ხან აქით გადინავარდებს, ხან იქით და სადაც მოხვდება, მუსრს ავლებს მავნე ჭიებს. მეორე ადგილი უნდა დავუთმოთ მერცხალს. ამ საყვარელ ჩიტსაც, რომელიც დღეში ათასობით ხოცავს ჭიალუას, ამასაც ვერ დაუხწევია თავი ადამიანისაგან. ნუ გაიკვირდებათ, და არის ისეთი ქვეყნები, სადაც მერცხალსაც ხოცვენ. მერცხალს მოყვება სხვა ჩიტებიც: წიწკინა, ბულბული, ბელურა, თავშავა, სკვინჩა. ტყის მცველებია სხვა და სხვა ჯიშის კოდალა, მაბზაკუნა (თოხისტარა), ურიცხვ მწერებს ხოცვენ აგრეთვე მოლაღური და გუგული.

თვით სახსროვანთა შორის არიან ჩვენი მცენარეების დამ-ცველნი, მათ რიგს შეადგენენ ყველა მტაცებელი სახსროვა-ნები, როგორც მაგალ., ბოვრი, რომელიც სჭამს ცოფის ჭიას; ცოფის ჭია იკვებება ხის ფოთოლით. ხან და ხან ის მოედება კაკალს, ვარდის ბუჩქს, ნათესსაც და საშინლად აოხრებს. ბოვრი არ სტოვებს აგრეთვე სხვა და სხვა ბალახის მჭამელ მატლებს.

ასეთივე სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის ჭინჭველას, რო-მელიც სჭამს ბევრ მავნე მწერს. ჭინჭველა მწერებში უჭკუაა-ნესია. ის ფუტკარსავით ცხოვრობს გუნდ-გუნდად, ოჯახებად ყოველ ოჯახს აქვს საოცრად მოწყობილი მიწური სახლები. მათ საზოგადოებაში მშრომელია მუშა ჭიანჭველები. ეს უფრთო დედალი ჭინჭველებია, თუმცა თავის დღეში მუშა ჭინჭველა კვერცხს არ სდებს, არ მრავლობს. ნამდვილი დედალი ჭინჭვე-ლა გაცილებით უფრო დიდია მუშა ჭინჭველაზე და შეიარაღებულია მამალ ჭინჭველებსავით დიდი ფრთებით, რ მელნიც ადრე სცვივდება. ჭიანჭველა სხვა და სხვა ჯიშისაა. ბევრ ჯი-შის ჭიანჭველას თავის სოროებში ჰყავს ბალახის ჭია. ეს პა-წაწა მწერი ჭინჭველისთვის ნამდვილი მეწველე ძროხაა. რო-ცა ჭიანჭველა ღიტინს დაუწყებს, მწერი გამოუშვებს ტკბილ სითხეს, რომელიც ვეტად ასიამოვნებს ძროხების პატრონთ. ამერიკაში არის ერთი ჯიშის ჭინჭველა, რომელიც ჯერ გას-წმენდს, გაასუფთავებს საყანე ადგილს ცუდი ბალახისაგან, შემდეგ აჩიჩქნ-ს, დააფხვიერებს მიწას და ჩათესავს ერთგვარ ბრინჯის წვრილ თესლს. შემდეგ მოსავალს შეკრებს და შეი-ნახავს თავის მიწურ სალაროებში.

საყურადღებო მტაცებელია კუდ-დანდალა. ტანის ბო-ლოს მას აქვს ბურღი, რომელიც შემდგარია სამი მოქნილი და წვეტიანი ჯაგრისაგან. ამ ბურღით დანდალა გახვრეტს ხოლ-მე პეპელის მატლის კანს და ჩასდებს შიგ თავის კვერცხებს. კვერცხებიდან გამოსული პაწაწა ჭიები იკვებებიან მატლის ქო-ნით და სხვა და სხვა ნაკლები მნიშვნელობის მეორე ასოებით. როცა წამოიზრდებიან, გამოღრნიან მატლის კანს, გამოვლენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთ. აქ გააკეთებენ პაწაწა აბრეშუმის პარკებს, რომელშიაც თვითონ თავის თავს მოიმწყვდევენ და ფუმფლად იქცევიან.

ყველა ეს პატარა თუ დიდი არსებანი კარგ დახმარებას უწევენ მხვნელ-მთესველთ და მებაღეებს. მაგრამ რა სახსენებელია მათი დახმარება იმ ნამცეც, ხშირად უხილავ, მიკროსკოპიულ არსებებთან შედარებით?! ამ პაწაწა არსებათ შეუძლიანთ ადამიანს მოუტანონ როგორც დაუფასებელი სარგებლობა, ისე აურაცხელი ვნებაც. ამ პაწაწა არსებათა შორის ჭიაყელა ნამდვილი დევია. ისიც ადამიანს დიდს სამსახურს უწევს. ჭიაყელას საცხოვრებლად უყვარს სველი, ნოტიო ადგილი. თუ მიწა რბილია, ის მოხდენილად ხვრეტს მას, იკეთებს ხვრელს და წინ-წინ მიიწევს. მაგრამ თუ მიწა მაგარია, სულ სხვა ნაირად მოიქცევა ხოლმე. მოჩიჩქნილ მიწას თვითონ ყლაპავს, ჩაყლაპული მიწა გაივლის ნაწლევებს და ისე გამოდის უკან დაფხვიერებული. გარდა ამისა ჭიაყელა იკვებება დამპალი ფოთლებით და ნაყოფებით, რაც ჭიის მუცელში მონელდება და ნიადაგს აპოხიერებს. ეს უშნო არსება მეტად მოძრავია, სულ ხვრელებში დაძვრება, აფხვიერებს მიწას და ამ ნაირად უმზადებს ნიადაგს მცენარეებს.

გაცილებით უფრო მეტი სარგებლობა მოგვიტანა ჩვენ იმ ნამცეც-ნამცეც ცხოველებმა, რომელნიც ერთ დროში ცხოვრობენენ ზღვა-ოკეანეების ფსკერზე. დღეს კი ხმელეთზე ყრია მათი ღენჭოები. ამ ღენჭოებს შეუდგენიათ მთელი მთები, რომელნიც ამაყად ამაღლებულან. დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ეს არსებანი ცხოვრობდნენ, მაგრამ მათგვარი ცხოველები დღესაც არიან ზღვა-ოკეანეს ფსკერზე.

ისინი მოძრაობენ, დაფორთხვენ პაწაწა ძაფების, წამწამების შემწეობით, რომელნიც გამოშვერილი აქვთ მიკროსკოპიული, სრულიად გამჭვირვალე ნახევრად თხელ სხეულზე. ეს სხეული მუდმივ შეიწურავს, ნთქავს კირიან ნივთიერებათ, მარილებს, რომელნიც გახსნილია ზღვის წყალში. შემდეგ ეს ნივთიერება გამოიცემა ზედა პირზე, როგორც პაწაწა სიფრი-

ფანა ღენჭოები. ხსენებული მიკროსკოპიული არსებანი თან და თან იხოცებიან, მათი ღენჭო კი ნელ-ნელა გროვდება ზღვის ფსკერზე და შეადგენს დიდ და სქელ ფენებს.

ზღვის ფსკერი ყოველთვის ერთ და იმავე სიღრმეზე ოდი რჩება ჩვენი დედამიწის ზედა პირი თან და თან იცვლება, მას სხვა და სხვა ცვლილება ატყდება თავს. რასაკვირველია ეს ცვლილება ისე ჩქარა, უეცრად კი არ ხდება, ამისათვის რამდენ-მე ასი ათასი, მილიონი წლებია საჭირო. ამ დროს განმავლობაში უწინდელი კუნძულები და მატერიკები ზღვის ქვეშ მოექცევიან. მათ სამაგიეროდ სხვა ადგილას ამოიკუზებიან წყლიდან სხვა მატერიკები და კუნძულები, რომელნიც წინეთ შეადგენდენ ზღვის ფსკერს და ღრმად წყლის ქვეშ იყვნენ მოქცეული. ზღვის ფსკერი მარტო იმით კი არ კმაყოფილდება, რომ მშრალზე ამოვა. ხშირად ადამიანისთვის შეუმჩნევლ დ ის იკუმშება და შეადგენს მთებს, მთაგრეხილებს. ასეთია, მაგალ., აპენინის, იურის, ვოგეზის მთაგრეხილები, და აი ეს ვეებერთელა მთაგრეხილები შემდგარი არიან მიკროსკოპიული ცხოველის. პაწაწა ღენჭოებიდან. უჩინარი ცხოველები ერთ დროს ცხოვრობდნენ ზღვის ფსკერზე, მოძრაობდნენ, ხოხავდნენ, აზრდოობდნენ. სიკვდილს შემდეგ კი დატოვეს კირეული ნივთიერებისაგან შემდგარი მთები. რამდენი უნდა ყოფილიყო ამ. პაწაწა ხუროების რიცხვი, როდესაც მათ მიერ შემდგარი დაუდებული მთები გაჭიმული არიან არა ერთი ვერსტის მანძილზე და ზევითაც აწეულან ოთხი ან ხუთი ათასი ცხრის სიმაღლეზე!

ამ დროს ამ ნიადაგზე, რომელიც ამ მიკროსკოპიულმა ცხოველებმა მოამზადეს, ხარობს ატეხილი ტყეები, გადამწვანებულია ხავერდივით მობიბინ ბალახები, ყვავის სამხრეთის ძვირფასი მცენარეები. ესეც ასეა. საფრანგეთში, შამპანიაში რამდენსამე ას ვერსტზე გაჭიმულია ვეებერთელა მიწის ნაჭერი. ეს მიწა ერთიანათ შემდგარია ცარცისაგან, ცარცი კი გაკეთებულია იმ გვარივე მიკროსკოპიული ცხოველების ღენჭოებიდან. და აი ამ ნიადაგზე ხარობს საუცხოვო ვაზი, რომელიც

# საუმაწვილო ჟურნალი

# „ნაკადული"

## ( ურათებით )

### მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის.

თვეში ორჯელ სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის

**პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.**

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი მწერლობის საუკეთესო მოღვაწენი.

**წელიწადი იანვარიშვება 1-ლ იანვრიდან 1-ლ იანვრამდე.**

**ჟურნალის ფასი:**

ერთად ორივე გამოცემა წელიწადში 5 მან., ცალკ-ცალკე სამ-სამი მან., ნახევარი წლით ერთად 2 მან, 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., სამი თვით 1 მან. 25 კაპ., თვეში 40 კაპ. ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის 15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანეთი შემოიტანონ.


რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლში № 8.


დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.

**წერილები, რომელზედაც არ იქნება აღნიშნული სურვილი ჭინარარის მიღებისა, უსასყიდლოდ იქნება ჩაბეჭდილი.**


რედაქციაში პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10-დან 1 ს-დის.

**რედაქტორი მარიამ ივანეს ასული დემურიასი.**

**გამომცემელი თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**